პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 88 (14084) | კვირა, 14 აპრილი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

ტემპს უმატეს

ბალაციხე. (საკ. კორ.). ხუთწლედის მესამე წლის პირველი კვარტალი სასახელო შრომითი მაჩვენებლებით დაამთავრეს ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს სამთოელებმა. მათ გადაჭარბებით გაანაღდეს სამი თვის დავალება.

განსაკუთრებით ქების ღირსია №1 შახტის (უფროსი გ. ჯიშკარიანი) კოლექტივი, რომელმაც 684 ტონა ზეგეგმითი სათბობი მისცა სამშობლოს.

ჩამორჩენას თავი დაანებეს და თებერვლიდან უკვე გამართულად მუშაობენ № 4 შახტის სამთოელები. მათ ქვანახშირის მოპოვების თებერვლის დავალება 106,3 პროცენტით შეასრულეს, ხოლო მარტისა — 104,7 პროცენტით.

მეავეჯეთა წარმატება

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). ეს წელი გამართულად დაიწყო კომუნისტური შრომის საწარმოს — მარეულიცის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის (დირექტორი ლ. ნამგალაძე) კოლექტივმაც. მან სამი დღით ადრე შეასრულა პირველი კვარტალის დავალება. გამოშვებულია 538.000 მანეთის ავეჯი. ამავე პერიოდში დამზადებულია 90.200 ცალი პირველი ხარისხის სკამი, 3 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

ფაბრიკის კოლექტივის სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ აქ სამი წელია არც ერთი რეკლამაცია არ მიუღიათ.

გეგმაც და ხარისხიც — ასეთია მეავეჯეთა გადაწყვეტილება.

ხუთწლედი — ვალდებულებანი

საქართველოს მშრომელებო: უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა, წარმატებით შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებები!

კიდევ უფრო ავამაღლოთ ქართული ჩაის ღირსება

მახარაძის რაიონის მეჩაიეთა და ჩაის ფაბრიკების მუშაკთა მიმართვა რესპუბლიკის მეჩაიეებისა და ჩაის მრეწველობის მუშაკებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

სიხარული სუფევს დღეს ჩვენს ქვეყანაში. მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანები, რომლებიც აღსავსენი არიან მჩქეფარე ენერგიით, შევიდნენ სოციალიზმის ქვეყნის მეორე ორმოცდაათწლეულში, მტკიცედ განაგრძობენ გზას ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ. ახორციელებს რა სკკპ 23-ე ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ხალხი ძალღონეს არ იშურებს, რათა ვადამდე შეასრულოს ხუთწლიანი გეგმის დავალებანი, ღირსეულად შეხვდეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავსა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს.

მთელ ხალხთან, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად პროდუქტების სიუხვის შექმნაში თავიანთი წვლილი შეაქვთ მახარაძის რაიონის მშრომელებსაც, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. საიუბილეო წელს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩვენმა მეჩაიეებმა. თავდადებული შრომით მათ დაძლიეს არახელსაყრელი კლიმატური პირობები და ამ პირობებთან დაკავშირებული გართულებანი, სამშობლოს მისცეს 3.400 ტონა ზეგეგმითი ხარისხოვანი ფოთოლი და 850 ტონა მზა პროდუქცია.

ჯერ კიდევ იმ დღეებში, როცა მთავრდებოდა გასული წლის სეზონი და ჩაღდებოდა ბრძოლა ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა შესრულებისათვის, რაიონის მეჩაიეებმა და ჩაის მრეწველობის მუშაკებმა დაიწყეს მათ წინაშე დასახული ახალი დიდი ამოცანებისა და მათი გადაწყვეტის გზების საქმიანი განხილვა.

ჩვენი აზრით, **ახლა საჭიროა, ხარისხოვანი ფოთლის რაოდენობის ზრდასთან ერთად ყოველდღიურად, დაძაბულად ვიბრძოლოთ მისი ხარისხის გაუმჯობესებისთვისაც.** ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი მოვალეობაა, მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ნედლეულის ხარისხსა და ჩაის ხარისხს ყველგან როდი ეთმობა საკმაო ყურადღება.

ახლა თითოეული მეჩაის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, ჩაის ფაბრიკის თითოეული მუშაკის დევიზია კიდევ უფრო ამაღლონ ქართული ჩაის ღირსება, ჩვენ ყურადღებით ავწონ-დავწონეთ შესაძლებლობანი, რეზერვები და დავასკვენით, რომ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს თქვენთან ერთად თავს გავართმევთ და უმჯობესად გავაკეთებთ. ეს ჩვენი ღირსების, ჩვენი ეროვნული სიამაყის საქმეა.

დასახული ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის განვახორციელებთ შემდეგ კონკრეტულ ღონისძიებებს:

ჩაის პლანტაციების სანიმუშო მოვლით, ფოთლის კრეფის აგროტექნიკური წესების ზუსტი დაცვით, ჩაის ფაბრიკებში ტექნოლოგიური რეჟიმის მთელი ციკლის საგულდაგულო შესრულებით 72 პროცენტამდე გავზრდით პირველი ხარისხის ნედლეულის ხვედრით წონას, ნაცვლად გასული წლის 64 პროცენტისა, ხოლო უმაღლესი და პირველი ხარისხის მზა პროდუქციის ხვედრით წონას გავადიდებთ 63 პროცენტამდე, რაც შარშანდელთან შედარებით 8 პროცენტით მეტი იქნება.

დავნერგავთ ჩაის ფაბრიკებში პირველი და მეორე ხარისხის ნედლეულის ცალ-ცალკე გადამუშავების მეთოდს.

ჩაის ფაბრიკების მუშაკები ვალდებულებას კისრულობენ ხარჯების შემდგომი შემცირების გზით კიდევ უფრო აამაღლონ წარმოების ეკონომიური ეფექტიანობა, შექმნან პირობები იმისათვის, რომ რაიონის ყველა ჩაის ფაბრიკამ მოგებით დაამთავროს სამეურნეო წელი.

მოკრეფთ მაღალი ხარისხის ფოთოლს, დროულად ჩავაბარებთ მისაღებ პუნქტებს და შეუფერხებლად გავგზავნით ფაბრიკებში. ჩაის კრეფის სეზონის პერიოდში ჩაის საბჭოთა მეურნეობებში ყოველ აგროგანყოფილებაში მოვაწყობთ ჩაის ფოთლის მიღებ პუნქტს. ნედლეულის მიღებასა და ფაბრიკებში გაგზავნას დავიწყებთ არაუგვიანეს დილის 11-12 საათიდან და დავაწესებთ ტრანსპორტირების საათობრივ გრაფიკს.

შრომის ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესებისათვის, რაც ხელს შეუწყობს ნედლეულისა და მზა პროდუქციის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას, ფართოდ დავნერგავთ შრომის პროგრესულ მეთოდებს, ვეცდებით მივაღწიოთ თითოეული მუშაკის პროფესიულ დახელოვნებას.

ჩაის ფაბრიკებს მთლიანად უზრუნველვყოფთ საჭირო რაოდენობის მუშახელით, შევუქმნით მათ შრომისა და დასვენების საუკეთესო პირობებს.

კიდევ უფრო მაღალ დონეზე ავიყვანთ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას, მაქსიმალურად გამოვიყენებთ მანქანებსა და დანადგარებს.

მთლიანი დატვირთვით გამოვიყენებთ ჩაის საკრეფ მანქანას „საქართველოს“, ამასთან ძირითად ყურადღებას მივაქცევთ ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესებას.

ჩვენმა მეჩაიეებმა იკისრეს ხუთწლედის მესამე წელს სამშობლოს მისცენ 40 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც შეადგენს მთელი ჩაის თითქმის მეხუთედს, რაც ამჟამად რესპუბლიკაში მზადდება.

სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 3.300 ტონა ფოთოლი, აქედან 74 პროცენტი პირველი ხარისხისა.

სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა გადაწყვიტეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 90 ტონა ფოთოლი, აქედან 75 პროცენტი პირველი ხარისხისა.

ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა დაამზადოს 4.500 ტონა ჩაი, გეგმაზე 150 ტონით მეტი და პირველი ხარისხის ხვედრითი წილი 72 პროცენტამდე გაზარდოს.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ავრეთვე სოფლების ნაგომრის, ძიძითის, ჯუმათის, შემოქმედის, მელექედურის, ბახვის, ლიხაურის, ასკანის, მზიანის კოლმეურნეობებმა და ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობამ.

მახარაძის პირველი ჩაის ფაბრიკის მუშებმა და მოსამსახურეებმა იკისრეს ვალდებულება გადაამუშაონ ხუთი ათასი ტონა ჩაის ფოთოლი და გამოუშვან გეგმით გათვალისწინებული 62 პროცენტის ნაცვლად 65 პროცენტი უმაღლესი და პირველი ხარისხის პროდუქცია. ამ კოლექტივის მაგალითს მიბაძეს გურიანთის, ნატანებისა და მაღლა ეწერის ფაბრიკებმა.

პირველი ხარისხის ჩაის ფოთლის 80 პროცენტის მოკრეფა იკისრეს სოციალისტური შრომის გმირებმა ტატიანა ჩხაიძემ, დარეჯან ტაკიძემ, ზინაიდა ბაჯელიძემ, საშა ქურიძემ, კლავდია ნაცვალაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ლატავრა სკამკრიანშვილმა. ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ მოწინავე მექანიზატორმა ვ. სანაძემ პირობა დადო, რომ მის მიერ მოკრეფილი ფოთლის 70 პროცენტი პირველი ხარისხის იქნება. მთ მაგალითს ბევრმა ჩვენმა მეჩაიემ მიბაძა.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ფართოდ ვაჩაღებთ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ჩაის ფაბრიკებისა და სასოფლო საბჭოების, აგრეთვე მეჩაიეებისა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა სოციალისტურ შეჯიბრებას.

პარტიის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა დააწესეს გარდამავალი წითელი დროშები, რითაც დაჯილდოვდებიან რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ჩაის ფაბრიკები და სასოფლო საბჭოები.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ჩაის ფაბრიკების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დააწესეს სამახსოვრო დროშები და დიპლომები, რითაც დაჯილდოვდებიან ჩაის მკრეფავები, მუშები, რგოლები, ბრიგადები, ფაბრიკების ცვლები და საამქროები, რომლებიც რაოდენობასთან ერთად უზრუნველყოფენ ჩაის ფოთლისა და გამოშვებული პროდუქციის მაღალ ხარისხს.

ფართოდ გამოვიყენებთ აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სხვა დარგების მშრომელთა წახალისებას, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ჩაის ხარისხისათვის ბრძოლაში.

დავსახეთ, ორივე მხარისათვის მოსახერხებელ დროს, მოვაწყოთ ჩაის ფაბრიკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების შეხვედრები. ეს შეხვედრები გაიმართება დევიზით „ფაბრიკა, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ერთი ოჯახია. ჩვენი ინტერესები საერთოა“.

პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი ყოველი თვის ბოლოს შეაჯამებენ ჩაის ფაბრიკების საქმიანობას, ხოლო მათ სამეურნეო წლის მუშაობას გააანალიზებს რაისაბჭოს აღმასკომის სესია.

სასოფლო საბჭოები სისტემატურად განიხილავენ თავიანთ სესიებზე ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და ფაბრიკაში გაგზავნილი ნედლეულის გადამუშავების ხარისხის საკითხებს.

ვგრძნობთ იმ პასუხისმგებლობას, რასაც ვალდებულება გვაკისრებს და ამიტომ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ სიტყვა საქმედ ვაქციოთ.

მივცეთ სამშობლოს მეტი მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი — ასეთია ჩვენი მიზანი.

მოვუწოდებთ რესპუბლიკის ყველა მეჩაიესა და ჩაის მრეწველობის მუშაკს მიბაძონ ჩვენს მაგალითს, ფართოდ გააჩაღონ შეჯიბრება წარმოების გადიდებისათვის და, რაც მთავარია, ქართული ჩაის ღირსების ამაღლებისათვის.

მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას „საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალური პრობლემებისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლის შესახებ“ და ახალი შრომითი საქმეებით უპასუხებს მას. ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მცირედი წვლილი იქნება ჩვენი საყვარელი სამშობლოს ეკონომიკისა და ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებაში.

მახარაძის რაიონის მეჩაიეებისა და ჩაის ფაბრიკების მუშაკთა სახელით:

პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ა. თოლიძე, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. გოგბრონიძე, სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი კ. სამსონია, სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი მ. ორაბაგელიძე, სოფელ ძიძოთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ს. მუხაშავრია, სოფელ ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. წითლიძე, ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი თ. მგელაძე, ლაითურის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი შ. შოშიტაიშვილი, სოფელ ჯუმათის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი ნ. ფაცურია, ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი თ. სურგულაძე, მახარაძის № 1 ჩაის ფაბრიკის დირექტორი ბ. ლეჟავა, სოფელ შრომის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი ტ. ჩხაიძე, სოფელ ასკანის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი ძ. ნაცვალაძე, სოფელ განახლების კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ზ. ბაჯელიძე და სხვ.





სოციალიზმის სამშობლო კოსმოსის პირველადმოძჩენია

კოსმონავტიკის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები

მოსკოვი

ჩვენი ხალხის დღესასწაულ — კოსმონავტიკის დღეს — მიუძღვნეს საბჭოთა მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მუშებმა ავტომატური სადგური „ლუნა-14“-ის გაშვება. სოციალიზმის სამშობლოს მიერ ათ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ დაწყებული სამყაროს შტურმი გრძელდება.

...კომელთა ყრილობათა სასახლე. აქ 12 აპრილს გაიმართა მოსკოვის მშრომელთა და მოსკოვის გარნიზონის მეომართა საზეიმო კრება, რომელიც კოსმონავტიკის დღეს მიეძღვნა.

დარბაზში შეიკრიბნენ მოსკოვის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა კავშირისა და გვარეობათა ჯარების მარშლები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები. დამსწრეთა შორის არიან ისინი, ვინც ქმნის კოსმოსურ ხომალდებს, სპუტნიკებს, რაკეტებს.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, პ. ნ. დემიჩევს, დ. თ. უსტინოვს, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს, თ. დ. კულაკოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად პრეზიდიუმში იდგნენ დაიკავეს სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავებმა.

კრება გახსნა მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. თ. პრომისლოვმა.

— შვიდი წლის წინათ, თქვა მან, 1961 წლის აპრილის დილას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე კომუნისტი იური ალექსის-ძე გაგარინი პირველი მსოფლიოში წავიდა უმგაზეთო კოსმოსურ რეისში. საყვარელი სამშობლოს სასახელოდ ჩადენილი გმირობით საბჭოთა ადამიანმა, რომელიც აღზარდა კომუნისტურმა პარტიამ, დაიწყო ადამიანობის ისტორიის ახალი ერა, განახორციელა ვარსკვლავეთში ფრენის სანუკვარი ოცნება.

სწორედ დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე ზეიმითა და სიხარულით აღინიშნა ამას წინათ საბჭოთა ხალხმა, აიყვანა ჩვენი ქვეყანა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მწვერვალებზე, მოამზადებინა თვალსაჩინო გამარჯვებანი კოსმოსური სივრცის ათვისებაში.

კოსმოსის ათვისების გზაზე გადადგმული ყოველი ახალი ნაბიჯი, თქვა შემდეგ ორატორმა, გმირი მუშათა კლასის, ნიჭიერი საბჭოთა მეცნიერებისა და კონსტრუქტორების, და ინჟინერ-ტექნიკოსების ტიტანური მუშაობის შედეგი, კოსმონავტთა გმირული და თავდადებული მუშაობის შედეგი, რომლებსაც ძალუძთ ყველა ამოცანის გადაწყვეტა.

კოსმოსის შტურმისა და დაპყრობის პროცესში საბჭოთა ხალხმა დიდი დანაკლისის სიმწარეც განიცადა. გონებისა და მეცნიერების გამარჯვებისათვის, ნათელი მომავლისათვის დაიღუპა პარტიისა და ხალხის ერთგული შვილი, კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ მიხეილის-ძე კომაროვი. ჩვენი ქვეყანა უკანასკნელად გამოეთხოვა თავის ერთ-ერთ ყველაზე სახელოვან გმირს, კოსმოსის ათვისების პიონერს, საბჭოთა კავშირის გმირს იური ალექსის-ძე გაგარინს და-საბჭოთა კავშირის გმირს, სახელოვან გამომცდელ მფრინავს ვლადიმერ სერგის-ძე სერიოგინს, რომელიც მასთან ერთად დაიღუპა საავიაციო კატასტროფის დროს.

ვ. ფ. პრომისლოვის წინადადებით დამსწრეებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი ზეციის დამპყრობთა ნათელ ხსოვნას.

საბჭოთა ხალხმა, თქვა შემდეგ მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, კარგად იცის, რომ დაღუპულთა ადგილს დაიკავებენ ახალი გმირები, რომლებიც თავიანთი გმირული საქმეებით შესანიშნავ ფურცლებს ჩაწერენ კოსმოსური სივრცის ათვისების მატიანეში.

ჩვენი სამშობლო მშვიდობისა და პროგრესის საიმედო ბასტიონია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ახლახან დამთავრდა, განიხილა საერთაშორისო მდგომარეობისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის ჩვენი პარტიის ბრძოლის ძირეული საკითხები. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მოსკოველები მხურვალედ მიესალმებიან და იწონებენ პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის განმტკიცება, კომუნისტური მოძრაობის, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირება, მსოფლიო ომის თავიდან აცილება და იმპერიალიზმისადმი წინააღმდეგობა.

დღითიდღე ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, 1970 წლის 7 ნოემბერს ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის.

დამსწრეთა სახელით ვ. თ. პრომისლოვმა მხურვალედ მიესალმა გმირ საბჭოთა კოსმონავტ მფრინავებს, მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს, რომლებმაც თავიანთი გმირობითა და შრომით ასახელეს ჩვენი საყვარელი სამშობლო, და ახალი დიდი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვა მათ.

კრება გახსნილად ცხადდება. გაისმის საბჭოთა კავშირის ჰიმნი. პიონერებმა ყვავილები მიართვეს კრების პრეზიდიუმის წევრებს.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს მ. ვ. კელდიშს.

იგი დაწვრილებით შეეხო საბჭოთა კოსმოსური კვლევის განვითარებას. საბჭოთა ქვეყნის წარმატებანი კოსმოსის ათვისების დარგში, თქვა მ. ვ. კელდიშმა, ერთ-ერთი მკაფიო დადასტურებაა იმ პროგრესისა, რომელიც კაცობრიობას მოუტანა სოციალისტურმა სისტემამ. დღეს, როცა ჩვენ ვზეიმობთ კოსმონავტიკის დღეს, უკვე დაიწყო მეორე ათწლეული კოსმოსური ერისა, რომელიც მსოფლიოს აუწყა ჩვენმა ქვეყანამ. ამ დღეს ჩვენ ვაჯამებთ კოსმოსის საბჭოთა კვლევის შედეგებს საიუბილეო, 1967 წელს, როცა ჩვენმა ხალხმა და მთელი მსოფლიოს პროგრესულმა ძალებმა ზეიმით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავი. საიუბილეო წელი აღინიშნა საბჭოთა ხალხის უდიდესი წარმატებებით კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე, ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო მიღწევებით. იგი აღინიშნა ავრეთვე დიდი ახალი ნაბიჯებით კოსმოსის შესწავლისა და ათვისების გზაზე.

აკადემიკოსმა თქვა, რომ მთავარის განსაკუთრებით ფართო კვლევის პერიოდი იყო 1966 წელი, როცა ჩვენმა ქვეყანამ პირველად დასვა რბილად მთვარეზე სადგური და გაუშვა მთვარის პირველი ხელოვნური თანამგზავრი. კოსმონავტიკის განვითარების დარგის ამ უდიდესმა მოვლენებმა შესაძლებელი გახადეს მრავალი ფუნდამენტური გამოკვლევა ჩვენი ბუნებრივი თანამგზავრის თვისებების შესახებ. ავტომატური სადგური „ლუნა-14“ საშუალებას მოგვცემს ახალი დიდი წვლილი შევიტანოთ ამ ამოცანის გადაწყვეტაში.

მ. ვ. კელდიში დაწვრილებით შეეხო ისეთ თვალსაჩინო მოვლენებს, როგორიც იყო საბჭოთა ავტომატური სადგურის „ვენერა-4“-ის გაშვება, რამაც მთელი მსოფლიოს აღტაცება გამოიწვია. მან თქვა, რომ ეს იყო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი წვლილი კაცობრიობის კულტურაში, კოსმონავტიკის განვითარებისა და მზის სისტემის პლანეტების კვლევის ახალი ეტაპი. ვენერას ატმოსფეროს შესახებ მიღებულმა მონაცემებმა, თქვა მეცნიერმა, დაგვისახეს ისეთი აპარატების შექმნის გზები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ უფრო სრულად გამოვიკვლიოთ ეს პლანეტა.

შემდეგ ორატორი შეეხო დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა ავტომატურ შეპირაპირებას ორბიტაზე, რომელიც საბჭოთა კავშირში განხორციელდა 1967 წლის 30 ოქტომბერს ისე, რომ ამ შეპირაპირებაში ადამიანი არ მონაწილეობდა, და დაწვრილებით დაახასიათა ამ მიღწევის მნიშვნელობა კოსმონავტიკის შემდგომი განვითარებისათვის.

მომავალი საალანეტათშორისო ხომალდების შექმნა დაკავშირებულია იმასთან, რომ დედამიწის გარშემო ორბიტაზე გავიყვანოთ უდიდესი წონის აპარატები მეორე კოსმოსური სიჩქარით.

ამისათვის საჭირო იქნებოდა მატარებელი რაკეტები, რომელთა სასტარტო წონა ათასობით და ათეულ ათასობით ტონა უნდა ყოფილიყო. ამ დროს კი ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება კოსმოსური სადგურებისა და საპლანეტათშორისო ხომალდების იმ ნაწილებისაგან დამონტაჟების გზით, რომლებსაც ორბიტაზე გაიტანენ შედარებით მცირე წონის მატარებელი რაკეტები. მაგრამ ამისათვის საჭიროა კოსმოსური აპარატების შეპირაპირება ორბიტაზე. შეპირაპირება შეიძლება ან ადამიანის მონაწილეობით ან სრულიად ავტომატურად. ავტომატური შეპირაპირება კოსმონავტიკის განვითარების აუცილებელი რგოლია და ბევრ შემთხვევაში დიდი უპირატესობანი აქვს: იგი არ საჭიროებს ადამიანის გაგზავნას ორბიტულ სადგურებზე და, მაშასადამე, არ მოითხოვს კოსმოსური აპარატის წონის გადიდებას. ორბიტაზე ობიექტების ავტომატური შეერთების ამოცანები, ხაზი გაუსვა მეცნიერმა, დაკავშირებულია დიდ ტექნიკურ სიძნელეებთან, მაღალ მოთხოვნებს უყენებს აპარატების კონსტრუქციებს, მართვის

(დასასრული მე-2 გვერდზე).

საფრანგეთის ელჩი საქართველოში

საქართველოში ექვსი დღის მანძილზე არაოფიციალურ ვიზიტად იყო საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ოლივიე ვორმსერი.

ოლივიე ვორმსერი ეწვია საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გიგოშვილს.

ფრანგი სტუმარი გაეცნო რესპუბლიკის ეკონომიკასა და კულტურას, მის ღირსშესანიშნაობებს, ეწვია ბათუმსა და სოხუმს.

რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გიგოშვილმა სადილი გაუმართა ოლივიე ვორმსერს. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, სკკპ წევრი 1917 წლიდან, თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მუშაკი

გიორგი გიორგის-ძე თვალჭრელიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეიძღნა გ. მ. თვალჭრელიძის დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა გ. გ. თვალჭრელიძის დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან **ო. ლოლაშვილი** (თავმჯდომარე), **დ. აბუთიძე, დ. გელაშვილი, მ. ლელაშვილი, დ. ლომაძე, მ. მეგრელიშვილი.**

გ. გ. თვალჭრელიძის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

გ. გ. თვალჭრელიძის დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიისაგან

გ. გ. თვალჭრელიძის სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 15, 16, 17 აპრილს საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაში, პლეხანოვის პროსპექტი № 147. 18 აპრილს დღის 4 საათზე გაიმართება სამოქალაქო პანაშვიდი ამერიკავკასიის სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლის შენობაში, რუსთაველის პროსპექტი № 16.

გამოსვენება 18 აპრილს საღამოს 5 საათზე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლიდან.

დაკრძალვა მოხდება ვაკის სასაფლაოზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

12 აპრილს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი განაგრძობდა 8 აპრილს დაწყებულ მუშაობას. დღის წესრიგში შეტანილი იყო ჩვენი ქვეყნის საშინაო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხები — ადგილობრივი საბჭოების მუშაობის, მშრომელთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიათა მუშაობის გეგმების შესახებ და სხვა საკითხები.

სხდომას თავმჯდომარეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა პროექტი რეზოლუციისა „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ".

მშრომელთა წერილების განხილვის წესი სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა 1967 წლის სექტემბერში, რის შესახებაც მიღებულ იქნა სპეციალური დადგენილება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საკანონმდებლო წესიათის წინადადებათა მოსამზადებლად შარშან შექმნა პრეზიდიუმის კომისია.

საბჭოთა სახელმწიფო მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მშრომელთა უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული უფლებების, კერძოდ საჩივრის და მისი სწორი და დროული განხილვის უფლების საკანონმდებლო განმტიკიცებას. კომისიისათვის წარდგენილი პროექტების პროექტი მკაცრად ავალებს თანამდებობის პირებს დადგენილ ვადებში და არსებითად განიხილონ შემოსული განცხადებანი, აწესებს საჭირო კონტროლს მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების გატარებისადმი, აწესებს ადმინისტრაციულ და სასჯელის სამართლის პასუხისმგებლობას იმათ მიმართ, ვისაც ბრალი მიეძღვის საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმში, საჩივრის შემტანი პირების დევნაში.

პრეზიდიუმის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს ბრძანებულების პროექტი იმ წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით, რომლებიც სხდომაზე გამოითქვა.

ამასთანავე პრეზიდიუმის წევრებმა გაარჩიეს საკითხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა წერილების განხილვის წესის შესახებ.

დეპუტატთა მიმართვები და შეკითხვები, როგორც წესი, გამოწვეულია უმნიშვნელოვანესი საგანმოქმედებრივი საკითხებით, რომლებიც დაკავშირებულია ინტერესებთან, მათს საარჩევნო ოლქებში შემავალი სოფლების, ქალაქებისა და რაიონების სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებასთან, მშრომელთა კამონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვასთან. ამომრჩეველთა განაწესის შესრულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ დეპუტატთა წინადადებანი და განცხადებანი სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში უნდა განიხილონ და მათი შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებანი განახორციელონ სულ ბევრი ერთ თვეში, ხოლო ის წინადადებანი და განცხადებანი, რომლებიც დამატებით შესწავლასა და შემოწმებას არ მოითხოვენ — დაუყოვნებლივ. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ხელმძღვანელები პირადად აგებენ პასუხს დეპუტატთა მიმართვების დროულად განხილვისა და სწორად გადაწყვეტისათვის.

შემდეგ პრეზიდიუმის წევრებმა აზრები გაუზიარეს ერთმანეთს კანონპროექტზე შემდგომი მუშაობის, სსრ კავშირში აღრიცხვისა და სტატისტიკის საკითხზე. ამ პროექტის შემუშავება დაიწყო 1964 წელს პალატების საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებში, ამისათვის განსორგიელდა დიდი მოსამზადებელი და კვლევითი მუშაობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან და იმ კანონთან დაკავშირებით, რომელიც 1965 წლის ოქტომბერში მიიღო სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მრეწველობის მართვის ორგანოების სისტემის შეცვლის საკითხზე, საჭირო გახდა დამატებით შეესწავლათ ეკონომიური რეფორმის პირობებში აღრიცხვისა და სტატისტიკის საკითხები.

ამასთან დაკავშირებით პრეზიდიუმი დაეთანხმა პალატების მუდმივი კომისიების წინადადებას დროებით გადადოთ მუშაობა სსრ კავშირში აღრიცხვისა და სტატისტიკის კანონის პროექტზე, სანამ არ დამთავრდება მთელი მრეწველობის, ტრანსპორტისა და კაპიტალური მშენებლობის გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ მეთოდებზე და მათი გამოყენების გამოცდილების განზოგადება. კომისიები განაგრძობენ მუშაობას ამ საკითხის შესწავლისათვის.

პალატების მუდმივმა კომისიებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გააცნეს 1968 წლისათვის თავიანთი მუშაობის გეგმები. დებულება მუდმივი კომისიების შესახებ ითვალისწინებს მათ მუშაობაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მაკოორდინებელი როლს, რადგან საკითხები, რომლებსაც კომისიები განიხილავენ, ეხება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის სულ სხვადასხვა დარგს.

პრეზიდიუმის წევრებმა აღნიშნეს, რომ კომისიათა მუშაობის გეგმებში არის საკითხები, რომლებსაც დიდი სახელმწიფოებრივი და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. მათ შორის არის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულებისადმი კონტროლი, საშენი მასალების წარმოების, მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევის, სახალხო განათლებისა და მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესების საკითხები.

პრეზიდიუმი ინფორმირებულ იქნა, რომ 17 აპრილს ეროვნებათა საბჭოს ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისია განიხილავს საკითხს სოფლად საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების შესახებ. შესაბამისი წინადადებანი კომისიაში უკვე შეტანილია და დეპუტატებმა ისინი ძირითადად მოიწონეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ცნობად მიიღო მუდმივ კომისიათა ინფორმაცია 1968 წელს მათი მუშაობის გეგმების შესახებ და აღნიშნა, რომ პრესამ უფრო ფართოდ უნდა გააშუქოს კომისიათა საქმიანობა.

მოკავშირე რესპუბლიკებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წარადგინეს ცნობები, რომლებიც ასახავენ შშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობას. შარშან ადგილობრივი საბჭოების სესიები თითქმის ყველგან ზუსტად დადგენილ ვადებში გაიმართა, სესიებზე ანგარიში ჩააბარა ამ საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების 97,2 პროცენტმა, აღმასკომების 90,3 პროცენტმა ანგარიში ჩააბარა მოსახლეობამ. გაიმართა 188 ათასზე მეტი კრება, რომლებზეც მოისმინეს აღმასკომების ანგარიშები. ამ კრებებს დაესწრო 40 მილიონამდე მოქალაქე. შშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში კარგად მონაწილეობს მოსახლეობის აქტივი. მიმდინარე წლის დამდეგისათვის იყო აღმასკომების 8 ათასზე მეტი შტატგარეშე განყოფილება, რომლებშიც მუშაობდა 77 ათასი აქტივისტი.

პრეზიდიუმზე აღრეთვე აღინიშნა, რომ საბჭოების მუშაობაში ნაკლოვანებებიც არის. მაგალითად, მთელ რიგ შემთხვევებში სესიები მზადდებოდა მხოლოდ აღმასკომის აპარატის ძალებით, ყოველთვის ჯეროვანი ყურადღება როდი ექცეოდა საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის საკითხებს.

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს დაეკვალთ განსახორციელონ ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

დღის წესრიგში იყო სსრ კავშირის სისხლის სამართლისა და გამასწორებელ-შრომითი კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები. როგორც ცნობილია, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები მიღებული იყო 1958 წელს. განვლილი 10 წლის მანძილზე საჭირო გახდა შეიცვალოს ამ კანონმდებლობის ცალკეული მუხლები და დებულებები. პრეზიდიუმმა ამისათვის შექმნა სპეციალური კომისია, რომელმაც თავისი წინადადებანი შეიტანა მის განსახილველად. კერძოდ, შემუშავებულია წინადადებანი იმის შესახებ, რომ ამაღლდეს სასჯელისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლების ეფექტიანობა, გაძლიერდეს ბრძოლა რეციდივისტებთან, განმტკიცდეს კანონიერება გამასწორებელ-შრომითი დაწესებულებების საქმიანობაში. პრეზიდიუმმა დამტკიცა დებულება არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიების შესახებ.

განხილულ იქნა შუამდგომლობანი მსჯავრდადებულთა შეწყალების შესახებ, აგრეთვე განცხადებანი საბჭოთა მოქალაქედ მიღების შესახებ და სხვა საკითხები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე გამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები მ. ა. ბასოვი, დ. ს. კორნეიჩუკი, ი. ს. ნასრიდინოვი, ბ. ს. ძოწენიძე, მ. ა. ისაქნდეროვი, ძ. ფ. ილიასშვილი, ი. ე. კალეტარინი, ნ. ხ. არუთინიანი, ა. ა. მიურისეპი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. ბიორკაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები ს. მ. ბუდიონი, ვ. ვ. ბრიშინი, ა. ი. მიქოიანი, ზ. ნ. ნურიევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ი. ი. ჰასლამანი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. მ. გორკინი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. ა. რუდენკო, სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი ნ. ა. შჩოლოკოვი და სხვები.

ვ. ამპლეევი,
მ. გერასიმოვი.
საკედლის კორესპონდენტები.

სოციალიზმის საშფოსი კოსმოსის პირველადმოძენია



კოსმონავტიკის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები

(დასასრული)

სისტემებს. ავტომატური შეპირაპირება მოითხოვს ისეთი რთული რადიოსპარატურისა და სწავლგრძელ შეამოსახსნელ მოწყობილობათა შექმნას, რომლებიც კოსმოსურ აპარატებს მართავენ. „კოსმოსის" სერიის ორი თანამგზავრის ავტომატურმა შეპირაპირებამ დაადასტურა, რომ სწორია არჩეული ტექნიკური იდეები და ამ ამოცანის კონსტრუქტორული გადაწყვეტა. ამან ორბიტული სამეცნიერო სადგურების შექმნისა და კოსმოსური ფრენის შემდგომი განვითარების დართო პერსპექტივები დაგვიხსნა.

მ. ვ. კელდიშმა დიდი ყურადღება დაუთმო კვლევას, რომელსაც „კოსმოსის" სერიის თანამგზავრები ახორციელებენ. როგორც ცნობილია, ასეთ თანამგზავრთა რიცხვმა უკვე 210-ს გადააკარა. მათი საშუალებით მიღებული ახალი შედეგები მზის გამოსახვებისა, დედამიწის ზედა ატმოსფეროს სტრუქტურისა და ვარიაციების, მეტეოროული ნეიტრონების, კოსმოსური რადიაციის შესახებ.

თავისი გამოსვლის დასკვნითს ნაწილში აკადემიკოსი მ. ვ. კელდიში შეეხო დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების პროექტულ გამოყენებას. მან თქვა, რომ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის იუბილესათვის ჩვენს ქვეყანაში საეკლესიოდ გადაეცა ოცამდე მეტი სადგური „ორბიტა", რის მეოხებითაც ცენტრალური ტელევიზიის გადაცემების, რომელთა ტრანსლაცია კავშირგაბმულობის თანამგზავრის „მოლნია-1"-ის საშუალებით წარმოებს, ნახავს 20 მილიონზე მეტი კაცი ცხმბირის, ზორეული ლომოსავლეთის, ყაზიდრული ჩრდილოეთისა და შუა აზიის მთელ რიგ რაიონებში.

კოსმოსური ტექნიკის შემდგომი განვითარება, აღნიშნა მეცნიერმა, საშუალებას მოგვცემს შეგქმნათ კავშირგაბმულობის ისეთი თანამგზავრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტელეპროგრამების მიღებას უშუალოდ საოჯახო ტელევიზორებთან, შესაძლებლობას მოგვცემს მივიღოთ გადაცემები პირდაპირ თანამგზავრებიდან. ჩვენი ქვეყნის ყოველ რაიონში. ისახება მსოფლიო კოსმოსური კავშირგაბმულობის შექმნის პერსპექტივები. ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა მეტეოროლოგიურმა სისტემამ „მეტეორმა" საშუალება მოგვცა რეგულარულად მივიღოთ მეტეოროლოგიური ინფორმაცია.

კოსმოსური კვლევა, თქვა თავისი გამოსვლის დასასრულს მ. ვ. კელდიშმა, სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე. ამას არა მარტო უშუალოდ შეაქვს დიდი წვლილი მეცნიერებაში, არამედ სტიმულსაც აძლევს მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის განვითარებას. ადამიანის შეღწევა კოსმოსში სულ უფრო დიდ როლს ასრულებს საქმიანობაში, გზას გვიხსნის არა მარტო ახალი სამყაროებისაკენ, არამედ ჩვენი პლანეტის-გარდაქმნის, ადამიანის ცხოვრების ვაუმჯობესების ახალ შესაძლებლობასაც გვისახავს.

ჩვენი ქვეყანა, რომელმაც კოსმოსის გზა გაუკვალა კაცობრიობას, წარმატებით განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევასა და ათვისების ძნელ და კეთილშობილურ საქმეს. კაცობრიობის პროგრესის საკეთილდღეოდ.

ტრიბუნაზეა ქარხანა „ბორეცის" გამმართველი ბ. ს. მასლოვი.

— კოსმონავტიკის დღე, თქვა ორატორმა, ჩვენი საერთო დღესასწაულია. ეს არის მეშახტისა და მეტალურგის, მანქანათმშენებლის, მეცნიერისა და კოლმეურნის დღესასწაული, იმათი დღესასწაული, ვინც დგას ხუთწლედის შრომითს ვახტზე, ვინც თავდადებით შრომობს, რათა განახორციელოს კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა, რომელიც პარტიამ დასახა.

შემდეგ ბ. ს. მასლოვმა ილაპარაკა ქარხანა „ბორეცის" კოლექტივის წარმატებებზე, რომელმაც იკისრა ვალდებულება ხუთწლედი შეასრულოს 1970 წლის 7 ნოემბრისათვის. ამ ვალდებულებას, თქვა მან, უთუოდ შეასრულებთ. ჩვენი მუშური სიტყვა — მტკიცე სიტყვაა.

ქარხნის კომუნისტები, მათთან ერთად კი ყველა მუშა, დიდი ინტერესით ეცნობიან მოსკოვის სალაქაო პარტიული ორგანიზაციის მე-19 კონფერენციის მასალებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას ამ კონფერენციაზე. ჩემი ამხანაგები დიდი ინტერესით განიხილავენ და მხურვალედ იწონებენ ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის შემდგომი განვითარების, შშრომელთა იდეოლოგიური აღზრდის საკითხებს, რომლებიც ამ სიტყვაშია აღძრული.

ჩვენ, თქვა დასასრულ ბ. ს. მასლოვმა, მხურვალედ გუჭერთ ხელს კომუნისტური პარტიის ლენინური კურსს, რომლის მიზანია ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური, ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება, სოციალისტური თანამეგობრობის ერთობისა და ძალის შემდგომი განმტკიცება.

მოსკოვის ახალგაზრდობის სახელით კომსომოლის ცენტრალური კომიტეტის დღის დღესასწაულ შეკრებილთ მიულოცა სრულიად საკავშირო ალკა მოსკოვის სალაქაო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ა. ტრუშინმა.

ჩვენი კოსმოსური წარმატებანი, თქვა მან, ეს დამსახურებაა იმ რეგიონალიზერი მატროსისა, რომელმაც 1917 წლის ოქტომბერში ეირიმი მიიტანა ზამთრის სასახლეზე, პირველი ხუთწლედების დამკვრელისა, იმ ჯარისკაცისა, რომელიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდა მოსკოვის წმიდათაწმიდა კედლებს დიდი სამამულო ომის დროს, მეყამირისა, რომელმაც პირველი კვალი გაავლო ყაზახეთის მინდვრებში. ყოველივე საუკეთესო, რაც 60-იანი წლების ახალგაზრდა თაობას გააჩნია, მან მიიღო ჩვენი მამებისა და პაპებისაგან — რევოლუციის დამცველთაგან, ხუთწლედებ ი ს მგზრთაგან, ფაშიზმის გამანადგურებელთაგან, თქვა ვ. ა. ტრუშინმა. ჩვენი თანამედროვეა — კოსმოსის პირველაღმომჩენთა მამაცობა და შეუპოვრობა, ჩვენი ქალიშვილებისა და ვაჟიკაცების შრომითი მამაცობა, რომლებმაც უფროსი თაობა ამაოდ მიიღეს მემკვიდრეობად რევოლუციური მგზნებარება, ღრმა კომუნისტური რწმენა, ჩვენი პარტიის დიადი სქემისადმი უსაზღვრო ერთგულება, მგზნებარე რომანტიზმი და შეუნელებელი სიძლიერე რევოლუციის მტრებისადმი.

ახალგაზრდა მოსკოველები ახლა აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის შესანიშნავ აღმოჩენებში, შრომობენ ხუთწლიანი გეგმის დაკალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლთა პირველ რიგებში. ლენინური კომკავშირი მუდამ იყო, არის და იქნება პარტიის სანიდელ დასაყრდენი, მებრძოლი თანაშემწე ყველა მის დიად საქმეში. ვამაყობთ ჩვენი სამშობლოთი, ვამაყობთ, რომ კეთილი ნების ყველა ადამიანისათვის იგი არის მშვიდობისა და თავისუფლების ბურჯი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი სამსაჯურის მაგალითი. ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი — ახალგაზრდა მოსკოველები, განაცხადა ორატორმა, ვულოსწყრომით გმობენ საერთაშორისო იმპერიალიზმის დანაშაულებრივ მოქმედებას.

ჩვენ, ახალგაზრდებს, წილად გვხვდა ბედნიერება გვეცხოვრა კოსმოსური ერის პირველ წლებში. ჩვენ, ახალგაზრდებს, წილად გვხვდა ბედნიერება ვმონაწილეობდეთ დედამიწაზეც და კოსმოსშიც. ჩვენ, ახალგაზრდებს, წილად გვხვდა ბედნიერება ვეწეოდეთ დედამიწაზე ყველაზე შესანიშნავ მუშაობას — ეამბეზებდეთ კომუნისტურ საზოგადოებას.

დამსწრენი ტაშით შეხვდნენ სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავს, საბჭოთა კავშირის გმირს პოლკოვნიკ ჯ. ი. ბელიაევს, როცა იგი ტრიბუნაზე ავიდა.

— ამ საზეიმო დღეს, — თქვა კოსმონავტმა, — ჩვენი თვალი, უწინარეს ყოვლისა, მიპყრობილია კომუნისტური პარტიისადმი, მისი მებრძოლი შტაბის — ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი. სწორედ პარტიასთან არის განუყოფელად დაკავშირებული საბჭოთა ხალხის ყველა დიდი გამარჯვება, მათ შორის შესანიშნავი მიღწევები კოსმოსური სივრცის კვლევაში.

დედამიწის პირველ ხელოვნურ თანამგზავრში, ადამიანის პირველ კოსმოსურ გაფრენაში, კოსმოსის შემდგომ კვლევაში ჩაქსოვილია მეცნიერების, ინჟინრების, ტექნიკოსების, შუშების — მთელი ჩვენი დიდი ხალხის თავდადებული შრომა და ნიჭი.

ჩვენ, კოსმონავტები, განაგრძო ჯ. ი. ბელიაევმა, გარემოსილი ვართ ხალხის მუდმივი ყურადღებითა და სიყვარულით, რაც ახალ ძალას გვმატებს, გვინერგავს მხურვალე მისწრაფებას შევასრულოთ სამშობლოს ყოველი დავალება. იმის შეგნება, რომ შენ მუშაობ და მთელ ძალღონეს ახმარ საყვარელ სამშობლოს, შენს ხალხს, სამშეალებას გვაძლევს გადალახოთ კოსმოსში გაფრენებისათვის მომზადების ყველა სიძნელე.

კოსმონავტი მფრინავის პროფესია, აღნიშნა ორატორმა, საპატიოა და ამავე დროს მეტად ძნელი. თითოეული გაფრენა მოითხოვს ძალების დიდ დაძაბვას, აღსავსეა ბევრი საიდუმლოებითა და მოულოდნელობით. ბ. ი. ბელიაევმა გაიხსენა ამას წინან დაღუპული ამხანაგები. გმირთა ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულში!

ვარსკვლავებისაკენ მომავალ რეისებში კოსმონავტებს შთაგონებს ჩვენი უფროსი ამხანაგების მამაცობა. მტკიცედ გვწამს, რომ გაგარინის მარშრუტი გაიკლის ახალ კოსმოსურ ტრასებს მზის სისტემის პლანეტებისაკენ. წინ ბევრი დიდი და პასუხსაგები საქმენი გველის. სიტყვას ვაძლევთ პარტიასა და მთავრობას, რომ საბჭოთა კოსმონავტები მზად ვართ პირნათლად შეეასრულოთ დაკისრებული ამოცანები, ვადიდოთ სამშობლო ახალი მიღწევებით კოსმოსის ათვისებაში.

ქალაქ მოსკოვის მშრომელთა და დედაქალაქის გარნიზონის მეომართა წარმომადგენლების კოსმონავტიკის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება დახურულად ცხადდება. კვლავ ეღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

კრების მონაწილეთათვის გაიმართა ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. (საკედლის).

თგილისი

საბჭოთა სამშობლოსათვის, საბჭოთა ხალხისათვის კანონიერი სიამაყის გრძნობით შეეკრიბნენ 12 აპრილს თბილისის შშრომელები სახელმწიფო სხდომაზე, რომელიც კოსმონავტიკის დღეს მიეძღვნა. სხდომა გაიმართა თბილისის ოფიციალურ საოპერო სახლში.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არიან საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ი. ლოსაბაშვილი, თბილისის შშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. მ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. ბეჟანაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ი. ა. შუბარდნაძე, შ. ვ. ყარყარაშვილი, ამერიკაგაკავშირის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლკოვნიკ-სამართველოს უფროსი ფ. ვ. სტეპჩენკო, ამერიკაგაკავშირის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეთაურთა შემადგენლობის წარმომადგენელი, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული შუამკეკი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები.

დამსწრეთ ზეთიერი დუმილით პატივი სცეს ქონიოგტების ვლადიმერ კომაროვის, იური გაგარინისა და გიმომდელი მფრინავის ვლადიმერ სერიოგინის ნათელ სახელს.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის შშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ე. ბუხრაშვილმა.

ღვერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ საბჭოეშიფო ჰიმნები. საზეიმო სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს, მოხსენება კოსმონავტიკის დღის შესახებ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.
(საქედესი).



კ. მარქსის დაბადების 150 წლისთავისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიადი ცხოვრების ფურცლები

•

თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის დასწყისიდანვე მარქსი დიდ ყურადღებას უთმობდა რუსეთს, აინტერესებდა ისტორია და საგარეო პოლიტიკა ამ დიდი სახელმწიფოსი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ევროპის ისტორიის მსვლელობაზე. უკვე 40-იან წლებში პარიზსა და ბრიუსელში მარქსი ხვდებოდა მაშინდელი რუსი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებს მ. პაკუნინს, პ. ანენკოვს, ნ. ხაზონოვს და მიწერ-მოწერა ჰქონდა მათთან.

50-იანი წლების დამლევისათვის მარქსი კიდევ უფრო მეტი ყურადღებით აკვირდებოდა რუსეთის შინაგან ცხოვრებას. იგი ხედავდა ბატონყმური სისტემის კრიზისს და რუს გლეხთა მღელვარებანი ღრმა სოციალური მოძრაობის დასწყისად მიიჩნდა. „ჩემი აზრით, — წერდა მარქსი 1860 წლის ივნაკრში ენგელსს, — ამჟამად მსოფლიოში უდიდესი მოვლენებია, ერთი მხრივ მონების მოძრაობა ამერიკაში... და, მეორე მხრივ, — მონების მოძრაობა რუსეთში" (ტ. 30, გვ. 4). მარქსმა 1861 წლის რეფორმა შეიფასა როგორც საკითხის სანახევრო გადაწყვეტა და მიაჩნდა, რომ რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია გარდუვალია. 1868 წელს მარქსმა უშუალო კონტაქტი დაამყარა ახალგაზრდა რუსი ემიგრაციის წარმომადგენელთან, „ზემლია ი ვოლიას" ერთ-ერთ ყოფილ ხელმძღვანელთან, პუბლიცისტ ა. სერნო-სოლოვიოვიჩთან. მისი საშუალებით მარქსმა პირველად შეიტყო ნ. ჩერნიშევსკის და მისი ტრაგიკული ბედის ამბავი. გაეცნო რა ჩერნიშევსკის ნაშრომებს, მარქსმა მათ ფრიად მაღალი შეფასება მისცა, ხოლო მათს ავტორს დიდ მეცნიერსა და კრიტიკოსს უწოდებდა (ტ. 28, გვ. 18). იმავე 1868 წელს მარქსმა რუსეთიდან მიიღო ნაროდნიკ ნ. დანიელსონის, „კაპიტალის" სამი ტომის რუსულ ენაზე მომავალი მთარგმნელის, წერილი. ამ წერილით დაიწყო დანიელსონის ვრცელი მიწერ-მოწერა მარქსისშმის ფუძემდებელთან, რომელიც მხლოდ ენგელსის სიკვდილის შემდეგ შეწყდა. დანიელსონი მრავალი წლის მანძილზე აწვდიდა მარქსს ყოველნაირ მასალებს რუსეთის ეკონომიკის შესახებ.

„კაპიტალის" ავტორისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობა უზარმაზარი გლეხური ქვეყნისა, რომელიც სწრაფი კაპიტალისტური განვითარების გზას დაადგა. საკითხი პირველწყაროებით რომ შეესწავლა, იგი, 50 წელს გადაცილებული, ენას ეკვეტა ფრანგული ენის შესწავლას და უკვე ერთი წლის შემდეგ თავისუფლად შეეძლო ეკითხა ეკონომიური ლიტერატურა. მარქსი ვარაუდობდა რუსული მასალების საფუძველზე „კაპიტალის" მესამე წიგნისათვის ხელახლა გადაემუშავებინა კარი მიწის რენტის შესახებ. მარქსი საფუძვლიანად ეცნობა რუსეთის ისტორიულ წარსულს კარამზინის, კოსტომაროვის, სოლოვიოვის ნაშრომების მიხედვით, კითხულობს კარეევის შრომებს საყოველთაო ისტორიაში, კაუფმანისა და ზიბერის შრომებს პოლიტიკურ ეკონომიაში, კოვალევსკისას — სოციოლოგიაში, ეცნობა რუსეთის მდგომარეობას თავისი რუსი კორესპონდენტების წერილებიდან.

მარქსის მოძღვრება გამსჭვალულია ნამდვილი ჰუმანიზმის სულისკვეთებით. და თვითონ მარქსი, ენგელსის თქმით, „ზღაპრულად განსწავლული" მოაზროვნე, გულგრილობის, უხამსობის, ფარისევლობის, მეცნიერული არაეთიკისნინდიერებისა და პოლიტიკური კარიერიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი, ღრმა ადამიანურობით განირჩეოდა. იგი ყველაფერში კაცური კაცი იყო და უყვარდა თავისთავზე ეთქვა ხალმე: „არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის". „ყველაზე კაცობალი და ყველაზე მხიარული ოდესმე მცხოვრებ ადამიანთაგან", „იუმორითა და სიცოცხლის ხალისით აღსავსე ადამიანი", ამხანაგთაგან ყველაზე თავაზიანი, რბილი და გულთბილი — ასეთი დაახსომდათ მარქსი მის მახლობლებს, მეგობრებსა და ამხანაგებს.

როცა მარქსი და ენგელსი ფიქრობდნენ რევოლუციის შესაძლო მარშრუტებზე და ეფასებდნენ მის წარმატების შანსებს, ისინი ზოგჯერ ცდებოდნენ გამარჯვების ეადებისა და სიიაბლოვის განსაზღვრაში. მაგრამ ამ შეცდომებში იოტის ოდენაც არ ეოფილა. რევოლუციის წინაპირობებისადმი სუბიექტივისტური და ვოლუნტარისტული მიდგომა. ლენინი სამართლიანად წერდა, რომ „რევოლუციური აზრის გიგანტთა ასეთი შეცდომები... ათასჯერ უფრო კეთილშობილური, დიადი და ისტორიულად დასაფასებელია, მართალია, ვიდრე კაზონური ლიბერალიზმის უხამსი სიბრძნე."[3]

ენგელსი მარქსის შესახებ ამბობდა: „იგი ისე მოკვდა, რომ მას პატივს სცემდნენ, უყვარდათ, გლოვობდნენ მილიონობით რევოლუციური თანამებრძოლნი მთელ ევროპასა და ამერიკაში. ცომბირის მაღაროებიდან კალიფორნიამდე, და თამამად შემიძლია ვთქვა: მას შეიძლება ბეოლოდ ბევრი მოწინააღმდეგე. მაგრამ არა მგონია ჰყოლოდა ოუნდაც ერთი პირადი მტერი" (ტ. 19, გვ. 352).

მარქსის თეორიული მემკვიდრეობა, მისი ბიოგრაფიის ფურცლები რევოლუციური გამოცდილების ფასდაუდებელი სკოლაა მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის. მარქსის გარდაცვალების შემდეგ მთელი სიმძიმე საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობისადმი ხელმძღვანელობისა მხრებზე დააწვა ფრიდრიხ ენგელსს. მისი მეთაურობით პროლეტარულ რევოლუციონერთა სახელოვანმა და მჭიდროდ დარაზმულმა კოჰორტამ წინ წაიღო მარქსიზმის დროშა. მარქსის მოძღვრებამ იდეური გამარჯვება მოიპოვა მსოფლიო მუშათა მოძრაობაში.

მარქსისა და ენგელსის სიკვდილის შემდეგ მარქსისადმი ერთგული რევოლუციურ-ინტერნაციონალისტური ძალები განაგრძობდნენ რევოლუციური თეორიის იდეური სიწმინდის დაცვას ყველა ჯურის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნოდათ ლენინსა და ბოლშევიკების პარტიას, რომელიც წარმოიშვა „მარქსიზმის თეორიის უაღრესად მტკიცე ბაზაზე". ლენინმა შემოქმედებითად განვითარა და გაამდიდრა მარქსისტული თეორია და პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ტაქტიკა.

**ლენინური ეტაპი მარქსიზმის განვითარებაში დაკავშირებულია იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციების კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქის ახალ ისტორიულ პირობებთან. ცარიზმის წინააღმდეგ რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურმა ბრძოლამ, ბოლშევიკების პარტიის ტიტანურმა მოღვაწეობამ, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ამ ბრძოლას, რუსეთის სამმა რევოლუციამ, და განსაკუთრებით 1917 წ. ოქტომბერმა, საბჭოთა კავშირის ხალხთა შემდგომმა მიღწევებმა, მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნამ, სოციალიზმის უბრალტესობამ კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში, კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა მოძრაობისა და დემოკრ

საფუძვლები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობისა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ

ერთეული
ფასი 3 კაპ.

ზრუნვა საბჭოთა ოჯახისათვის, რომელშიც ჰარმონიულად შეხამებულია მოქალაქეთა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები, საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საბჭოთა კავშირში შექმნილია ოჯახის განმტკიცებისა და აყვავების ყველაზე ხელშემწყობი პირობები. განუხრელად უმჯობესდება მოქალაქეთა მატერიალური კეთილდღეობა, ოჯახის საბინაო-საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობები. სოციალისტური საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობს დედობის დაცვასა და წახალისებას, ბედნიერი ბავშვობის უზრუნველყოფას.

მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდა, მისი ფიზიკური და სულიერი ძალების განვითარება ოჯახის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. სახელმწიფო და საზოგადოება ყოველნაირად ეხმარებიან ოჯახს ბავშვების აღზრდაში, ფართოვდება საბავშვო ბაღების, ბაგების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ქსელი.

საბჭოთა ქალს უზრუნველყოფილი აქვს საჭირო სოციალურ -საყოფაცხოვრებო პირობები იმისათვის, რომ ბედნიერი დედობა შეუხამოს სულ უფრო აქტიურ და შემოქმედებითს მონაწილეობას საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საბჭოთა კანონმდებლობამ ქორწინებისა და ოჯახის შესახებ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი ოჯახური ურთიერთობის საბოლოოდ განთავისუფლებას მატერიალური ანგარიშებისაგან, ყოფა-ცხოვრებაში ქალის უთანასწორო მდგომარეობის ნაშთების აღმოფხვრას და კომუნისტური ოჯახის შექმნას, რომელშიც სრულად დაკმაყოფილდება წევრების ყველაზე ღრმა პირადი გრძნობები.

ნაწილი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ქორწინებისა და ოჯახის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის ამოცანები

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის ამოცანები ის არის, რომ:

კიდევ უფრო განვამტკიცოთ საბჭოთა ოჯახი, რომელსაც საფუძვლად უდევს კომუნისტური მორალის პრინციპები;

ოჯახური ურთიერთობა დავამყაროთ ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითს საქორწინო კავშირზე, მატერიალური ანგარიშებისაგან თავისუფალ ურთიერთ სიყვარულზე, ოჯახის ყველა წევრის მეგობრობისა და პატივისცემის გრძნობებზე;

ოჯახი ბავშვების აღზრდას ორგანულად უხამებს საზოგადოებრივ აღზრდას სამშობლოსადმი ერთგულების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის ბავშვთა მომზადების სულისკვეთებით;

ყოველნაირად დავიცვათ დედისა და ბავშვის ინტერესები და უზრუნველვყოთ თითოეულის ბედნიერი ბავშვობა;

საბოლოოდ აღმოვფხვრათ წარსულის მავნე გადმონაშთები და ჩვეულებანი ოჯახურ ურთიერთობაში;

დავნერგოთ ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა.

მუხლი 2. ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებს კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ

კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ ადგენს დაქორწინების წესსა და პირობებს, აწესრიგებს პირად და ქონებრივ ურთიერთობას, რომელიც ოჯახში წარმოიშობა ცოლ-ქმარს, მშობლებსა და შვილებს შორის, ოჯახის სხვა წევრებს შორის, ურთიერთობას, რომელიც წარმოიშობა შვილად აყვანასთან, მეურვეობასა და მზრუნველობასთან დაკავშირებით, განქორწინების წესსა და პირობებს, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესს.

მუხლი 3. ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა ოჯახურ ურთიერთობაში

ოჯახურ ურთიერთობაში ქალსა და მამაკაცს თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებანი აქვთ.

უფლებათა თანასწორობას ოჯახში საფუძვლად უდევს სსრ კავშირის კონსტიტუციით განმტკიცებული ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებანი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

მუხლი 4. მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა ოჯახურ ურთიერთობაში, მიუხედავად მათი ეროვნების, რასის და რელიგიისადმი დამოკიდებულებისა.

ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მათი ეროვნების, რასის და რელიგიისადმი დამოკიდებულებისა, აქვს თანაბარი უფლებანი ოჯახურ ურთიერთობაში.

არ დაიშვება უფლებების რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის დადგენა დაქორწინების დროს და ოჯახურ ურთიერთობაში ეროვნების, რასობრივი კუთვნილების ან რელიგიისადმი დამოკიდებულების მიხედვით.

მუხლი 5. დედობის დაცვა და წახალისება

სსრ კავშირში დედობას ყველა სცემს პატივს. მას იცავს და ახალისებს სახელმწიფო.

დედისა და ბავშვის ინტერესთა დაცვას უზრუნველყოფს სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგებისა და ბაღების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელი, შვებულებები, რომელიც ქალს ეძლევა ფეხმძიმობისა და მშობიარობის გამო ხელფასის შენახვით, ფეხმძიმე ქალებისა და დედებისათვის შეღავათები, შრომის დაცვა საწარმოებში, სახელმწიფო დახმარება მარტოხელა და მრავალშვილიან დედებს, აგრეთვე სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დახმარება ოჯახს.

მუხლი 6. საქორწინო და ოჯახური ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება სახელმწიფოს მიერ

საქორწინო და ოჯახური ურთიერთობის სამართლებრივ რეგულირებას სსრ კავშირში ახორციელებს მხოლოდ სახელმწიფო.

აღიარებულია მხოლოდ სამოქალაქო ქორწინება. ქორწინების რელიგიურ წესს, ისევე როგორც სხვა რელიგიურ წესებს, სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს.

ეს არ ეხება რელიგიური წესით მოქალაქეობრივი მდგომარეობის იმ აქტებს და მათს შესახებ მიღებულ დამბადების, ქორწინების, განქორწინებისა და გარდაცვალების დოკუმენტებს, რომლებიც მოხდა საბჭოთა ორგანოების შექმნამდე ან აღდგენამდე.

მუხლი 7. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ

კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ შეიცავს ამ საფუძვლებს და მათს შესაბამისად გამოცემულ სსრ კავშირის სხვა საკანონმდებლო აქტებს, მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებს ქორწინებისა და ოჯახის შესახებ და სხვა საკანონმდებლო აქტებს.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა წყვეტს საკითხებს, რომლებიც ამ საფუძვლებით მიეკუთვნება მათ გამგებლობას, და საქორწინო და საოჯახო ურთიერთობის საკითხებს, რომლებიც უშუალოდ გათვალისწინებული არ არის ამ საფუძვლებით.

მუხლი 8. ქორწინებისა და ოჯახის შესახებ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის გამოყენება

დაქორწინებას, ურთიერთობას ცოლ-ქმარს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის, შვილად აყვანას, მამობის დადგენას, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესებას, განქორწინებას, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციას აწესრიგებს მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა, რომელის ორგანო ახდენს ან რეგისტრაციაში ატარებს შესაბამის აქტს, ან წყვეტს წამოჭრილ დავას.

ქორწინების, შვილად აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სინამდვილეს განსაზღვრავს იმ მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზე მოხდა დაქორწინება, შვილად აყვანა, მეურვეობისა თუ მზრუნველობის დაწესება ან რეგისტრირებული იყო აქტი.

ნაწილი II

ქორწინება

მუხლი 9. დაქორწინება

დაქორწინება ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოებში.

ქორწინების რეგისტრაცია წესდება როგორც საზელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისა თვის, ისე მეუღლეთა და შვილთა პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ დაქორწინება, რომელიც მოხდა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოებში.

დაქორწინება ხდება საზეიმო ვითარებაში.

დაქორწინება ფორმდება ერთი თვის გასვლის შემდეგ იმ დროიდან, როცა დაქორწინების მსურველები განცხადებას შეიტანენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოში. ცალკეული შემთხვევებისათვის მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება ამ ვადის შემცირება.

მუხლი 10. დაქორწინების პირობები

დაქორწინებისათვის საჭიროა იმ პირთა თანხმობა, რომლებსაც დაქორწინება სურთ, და საქორწინო ასაკი.

საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი. მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას შეუძლია შეამციროს საქორწინო ასაკი, მაგრამ სულ ბევრი ორი წლით.

დაქორწინება არ შეუძლიათ:

პირებს, რომელთაგან თუნდაც ერთი უკვე დაქორწინებულია სხვასთან;

პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავებს, ღვიძლ და არაღვიძლ ძმებსა და დებს, აგრეთვე მშვილებლებსა და შვილობილებს;

პირებს, რომელთაგან თუნდაც ერთი სასამართლოს მიერ ცნობილია სულიერი დაავადებისა თუ ჭკუასუსტობის გამო არაქმედუნარიანად.

მუხლი 11. მეუღლეთა პირადი უფლებანი

დაქორწინების დროს მეუღლენი თავისი სურვილისამებრ ირჩევენ ერთ-ერთი მეუღლის გვარს თავიანთ საერთო გვარად ან თითოეული მეუღლეთაგანი იტოვებს თავის ქორწინებამდელ გვარს, ან თავის გვარს შეუძლია დაუმატოს მეორე, მეუღლის გვარი.

შვილების აღზრდის საკითხებსა და ოჯახის ცხოვრების სხვა საკითხებს მეუღლეები ერთად წყვეტენ.

თითოეულ მეუღლეს თავისუფლად შეუძლია აირჩიოს მოსაქმეობა, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი.

მუხლი 12. მეუღლეთა ქონება

ქონება, რომელიც მეუღლეებმა ქორწინების პერიოდში შეიძინეს მათი საერთო ერთობლივი საკუთრებაა. მეუღლეებს აქვთ ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის თანაბარი უფლება.

მეუღლეებს თანაბარი უფლებანი აქვთ ქონებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო მეურნეობას, უვლიდა შვილებს, ან სხვა საპატიო მიზეზების გამო არა ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი.

საერთო ერთობლივი საკუთრების გაყოფის შემთხვევაში მეუღლეთა წილი თანაბარი უნდა იყოს. ცალკეულ შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს, გაითვალისწინოს შვილთა ინტერესები ან ერთ-ერთი მეუღლის უურადსაღები ინტერესები.

მეუღლეთა დაქორწინებამდე კუთვნილი, აგრეთვე ქორწინების დროს საჩუქრად ან მემკვიდრეობით მიღებული ქონება თითოეული მათთვნის საკუთრებაა.

ამ მუხლის დებულებანი ვრცელდება მეუღლეთა — საკოლმეურნეო კომლის წევრთა მხოლოდ იმ ქონებაზე, რომელიც მათ პირად საკუთრებას შეადგენს.

მეუღლეთა საკოლმეურნეო კომლის საკუთრების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებას აწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობანი.

მუხლი 13. მეუღლეთა ურთიერთ რჩენის ვალდებულებანი

მეუღლენი ვალდებული არიან მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს. თუ ერთ-ერთმა მხარემ უარი თქვა მატერიალურ დახმარებაზე, რომელიც მეორე მხარეს სჭირდება, შრომისუუნარო მეუღლეს, აგრეთვე ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მიიღოს სარჩო (ალიმენტი) მეუღლისაგან, თუ მას შეუძლია ამ სარჩოს მიცემა. ეს უფლება ძალაში რჩება განქორწინების შემდეგაც.

განქორწინებულ მეუღლეს აგრეთვე აქვს სარჩოს მიღების უფლება, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებიდან ერთი წლის განმავლობაში. თუ მეუღლენი დიდხანს იყვნენ ქორწინებაში, სასამართლოს უფლება აქვს ალიმენტი გადაახდევინოს განქორწინებული მეუღლის სასარგებლოდ იმ შემთხვევაშიც, თუ ამ მეუღლემ საპენსიო ასაკს მიაღწია არაუგვიანეს ხუთი წლისა განქორწინების მომენტიდან.

ცალკეულ შემთხვევებში მეუღლე შეიძლება განთავისუფლდეს მეორე მეუღლის რჩენის ვალდებულებისაგან ანდა მისი ვალდებულება შეიძლება განისაზღვროს ვადით. პირობებს, რომელთა დროს სასამართლოს შეუძლია ერთი მეუღლე გაათავისუფლოს მეორე მეუღლის რჩენის ვალდებულებისაგან ან შეზღუდოს ამ ვალდებულების ვადა, ადგენს მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობა.

მუხლი 14. ქორწინების შეწყვეტა

ქორწინება წყდება სიკვდილის შედეგად ან სასამართლო წესით ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადების შედეგად.

მეუღლეთა სიცოცხლეში ქორწინება შეიძლება შეწყდეს განქორწინებით ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის განცხადებით.

განქორწინების საქმეებს წყვეტს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო სამოქალაქო სამართალწარმოების საერთო წესებით. სასამართლო ახორციელებს მეუღლეთა შერიგების ღონისძიებებს.

ქორწინება წყდება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია.

ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას განქორწინების საქმე ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში.

მუხლი 15. ქორწინების ბათილობა

ქორწინება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი თუ დარღვეულია პირობები, რომლებიც დადგენილია ამ საფუძვლების მეათე მუხლით, აგრეთვე მაშინ, თუ ქორწინების რეგისტრაცია არ ისახავდა მიზნად ოჯახის შექმნას (ფიქტიური ქორწინება). ქორწინების ბათილად ცნობა ხდება სასამართლო წესით.

ქორწინების ბათილად ცნობა გავლენას არ ახდენს ასეთი ქორწინების დროს დაბადებულ ბავშვთა უფლებებზე. ქორწინების ბათილად ცნობის სხვა შედეგებს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

ნაწილი III

ოჯახი

მუხლი 16. მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობათა წარმოშობის საფუძვლები

მშობლებისა და შვილების ურთიერთ უფლება-მოვალეობებს საფუძვლად უდევს შვილების წარმოშობა, რაც დადასტურებულია კანონით დადგენილი წესით.

ბავშვთა წარმოშობა იმ მშობლებისაგან, რომლებიც ქორწინებაში არიან, დასტურდება მშობელთა ქორწინების შესახებ ჩანაწერით. ბავშვის წარმოშობა იმ მშობლებისაგან, რომლებიც არ არიან ერთმანეთთან ქორწინებაში, დგინდება ბავშვის დედ-მამის ერთობლივი განცხადების შეტანის გზით მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოებში.

თუ ბავშვი შეეძინათ დაუქორწინებელ მშობლებს, მშობელთა ერთობლივი განცხადების უქონლობის შემთხვევაში მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით.

მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებას და საერთო მეოჯახეობას ბავშვის დაბადებამდე ან ბავშვის ერთად აღზრდასა თუ რჩენას.

მამობის დადგენა სასამართლო წესით შესაძლებელია მხოლოდ იმ ბავშვთა მიმართ, რომლებიც ამ საფუძვლების ძალაში შესვლის შემდეგ დაიბადებიან.

ბავშვებს, რომელთა წარმოშობა დადგენილია მშობელთა ერთობლივი განცხადებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, ისეთივე უფლებები აქვთ და ვალდებულებანი მშობელთა მიმართ, როგორც იმ ბავშვებს, რომლებიც ეყოლათ ქორწინებაში მყოფ პირთ.

მუხლი 17. მშობელთა ჩაწერა დაბადების ჩაწერის წიგნში

ქორწინებაში მყოფი დედ-მამა ბავშვის მშობლებად ჩაიწერებიან დაბადების ჩაწერის წიგნში ერთ-ერთი მათგანის განცხადებით.

თუ მშობლები ერთმანეთთან ქორწინებაში არ არიან, ჩაწერა ბავშვის ღედის შესახებ წარმოებს დედის განცხადებით, ხოლო ჩაწერა ბავშვის მამის შესახებ — ბავშვის მამისა და დედის ერთობლივი განცხადებით, ან მამა ჩაიწერება სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად.

როცა ბავშვი შეეძინება დედას, რომელიც ქორწინებაში არ არის, თუ არ არის მშობელთა ერთობლივი განცხადება ან სასამართლოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ, დაბადების ჩაწერის წიგნში ბავშვის მამის შესახებ ჩაწერა წარმოებს დედის გვარით; სახელი და მამის სახელი ბავშვის მამისა ჩაიწერება დედის მითითებით.

იმ ბავშვთა მიმართ, რომლებიც ამ საფუძვლების ძალაში შესვლამდე ეყოლათ დაუქორწინებელ პირთ, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოებში მამობის რეგისტრაცია წარმოებს ბავშვის დედისა და იმ პირის ერთობლივი განცხადებით, რომელიც თავს ცნობს მამად, და ჩანაწერი მამის შესახებ შეაქვთ ბავშვის დაბადების მოწმობაში. მამობის ჩაწერა იმ პირთა მიმართ, რომლებმაც სრულწლოვანებას მიაღწიეს, დასაშვებია მხოლოდ მათი თანხმობით. ბავშვის მშობლების ერთობლივი განცხადების უქონლობისას დაბადების ჩაწერის წიგნში და დაბადების მოწმობაში ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს ამ წესით, რომელიც დადგენილია ამ მუხლის მესამე ნაწილით.

მუხლი 18. მშობლების უფლება-მოვალეობანი

მამასა და დედას თანაბარი უფლება-მოვალეობანი აქვთ თავიანთი შვილების მიმართ.

მშობლებმა თავიანთი შვილები უნდა აღზარდონ კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის სულისკვეთებით, იზრუნონ მათი ფიზიკური განვითარებისათვის, სწავლებისა და საზოგადოებრივი სასარგებლო საქმიანობისათვის მოსამზადებლად.

მშობლები ვალდებული არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები და შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ.

არასრულწლოვანი შვილების უფლებებისა და ინტერესების დაცვა მათ მშობლებს ეკისრებათ.

მშობლებს უფლება აქვთ მოითხოვონ შვილების დაბრუნება ყოველი პირისაგან, რომელიც ბავშვებს უკანონოდ ან სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე იტოვებს.

მშობლის უფლებანი არ შეიძლება განხორციელდეს შვილების ინტერესების საწინააღმდეგოდ.

მუხლი 19. მშობლის უფლებათა ჩამორთმევა

მშობლებს ან ერთ-ერთ მათგანს შეიძლება ჩამოერთვას მშობლის უფლებანი, თუ დადგინდება, რომ ისინი არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს შვილების აღსაზრდელად ან ბოროტად იყენებენ მშობლის უფლებებს, ულმობლად ეპყრობიან შვილებს, მავნე ზეგავლენას ახდენენ შვილებზე თავიანთი ამორალური, ანტისაზოგადოებრივი ყოფაქცევით, აგრეთვე თუ მშობლები ქრონიკული ალკოჰოლიკები ან ნარკომანები არიან.

მშობლის უფლებების ჩამორთმევის საქმეებს განიხილავენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციები ბავშვის ერთ-ერთი მშობლის ან მეურვის (მზრუნველის) განცხადებით, აგრეთვე პროკურორის სარჩელით.

როცა ორივე მშობელს ჩამოერთმევა მშობლის უფლებანი, ბავშვი აღსაზრდელად გადაეცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს.

სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის ჩამორთმევისა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებისათვის აღსაზრდელად მისი გადაცემის შესახებ მშობლის უფლებათა ჩამორთმევის მიუხედავად, თუ ბავშვის დატოვება იმ პირებთან, რომლებთანაც იგი არის, მისთვის საშიშია.

მშობლის უფლებათა აღდგენა დასაშვებია, თუ ამას მოითხოვს ბავშვის ინტერესები და თუ ბავშვი ნაშვილები არ არის.

მშობლის უფლებათა ჩამორთმევა და მშობლის უფლებათა აღდგენა წარმოებს მხოლოდ სასამართლო წესით.

მშობლის უფლებათა ჩამორთმევა მშობლებს არ ათავისუფლებს შვილების რჩენის მოვალეობისაგან, თუ ბავშვი ჩამოერთვა მშობლებს და მოთავსეს სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში, სასამართლოს შეუძლია ამ დაწესებულების სასარგებლოდ მშობლებს გადაახდევინოს ბავშვის სარჩენი სახსრები. ამ სახსრების ოდენობას განსაზღვრავენ იმ ფარგლებში, რომლებიც დადგენილია წინამდებარე საფუძვლების 22-ე მუხლით.

მუხლი 20. შვილების მოვალეობა მშობლების რჩენისათვის

სრულწლოვანი შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ.

შვილები შეიძლება განთავისუფლდნენ თავიანთი მშობლების რჩენის მოვალეობისაგან, თუ სასამართლო დადგენს, რომ მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას.

მუხლი 21. ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო ვალდებულებანი

არასრულწლოვანი ბავშვების რჩენის მოვალეობა, თუ მათ მშობლები არა ჰყავთ, შეიძლება დაეკისროს სხვა ნათესაურებს — პაპას, ბებიას, ძმას, დას, აგრეთვე ბავშვის მამინაცვალსა და დედინაცვალს.

არასრულწლოვანი ბავშვების რჩენის მოვალეობა შეიძლება დაეკისროს აგრეთვე პირებს, რომლებმაც იკისრეს ბავშვების მუდმივად აღზრდა და რჩენა და შემდეგ შეწყვიტეს მათი რჩენა.

ოჯახის შრომისუუნარო სრულწლოვანი წევრების რჩენის მოვალეობა, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ, თუ მათ არა ჰყავთ მეუღლეები, მშობლები ან სრულწლოვანი შვილები, შეიძლება დაეკისროს შვილიშვილებს, აგრეთვე გერებს.

შრომისუუნარო სრულწლოვანი პირების რჩენის მოვალეობა, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ, შეიძლება დაეკისროს იმ პირებს, რომლებსაც წინათ ისინი მუდმივად ზრდიდნენ და არჩენდნენ.

მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს სხვა პირობები, როცა წარმოიშობა ამ მუხლით გათვალისწინებული რჩენის მოვალეობანი.

მუხლი 22. ალიმენტის ოდენობა

არასრულწლოვანი შვილების ალიმენტი მშობლებს გადახდებათ შემდეგი ოდენობით: ერთ ბავშვზე — მშობლების ხელფასის (შემოსავლის) ერთი მეოთხედი, ორ ბავშვზე — ერთი მესამედი, სამ და მეტ ბავშვზე — ნახევარი.

ამ წილის ოდენობა შეიძლება შეამციროს სასამართლომ, თუ მშობელს, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს ალიმენტი, ჰყავს სხვა არასრულწლოვანი შვილები, რომლებიც ამ მუხლით დადგენილი ოდენობით ალიმენტის გადახდისას შეიძლება აღმოჩნდნენ მატერიალურად უფრო ნაკლებ უზრუნველყოფილნი, ვიდრე ის შვილები, რომლებიც ალიმენტს იღებენ, აგრეთვე იმ შემთხვევებში, თუ მშობელი, რომელსაც ალიმენტს ახდევინებენ, პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდია ან თუ შვილები მეუშაობენ და საკმარისი ხელფასი აქვთ.

სასამართლოს უფლება აქვს შეამციროს ალიმენტის ოდენობა ან ალიმენტის გადახდისაგან გათავისუფლოს მშობლები, თუ შვილები სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების სრულ კმაყოფაზე არიან. საბავშვო დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვების შესანახი ხარჯები ამ დაწესებულებათა სასარგებლოდ შეიძლება გადახდის ბავშვების მშობლებს ამ მუხლით დადგენილ ფარგლებში.

ცალკეულ შემთხვევებში, როცა შეუძლებელი ან ძნელია მშობლების ხელფასიდან ალიმენტის ნაწილობრივად გადახდევინება, მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება განისაზღვროს არასრულწლოვანი შვილების ალიმენტის ოდენობა მტკიცე ფულადი თანხით, ამ თანხის ოდენობა განისაზღვრება მშობლის საერაუდო ხელფასიდან (შემოსავლიდან) ზემოაღნიშნული დებულების შესაბამისად.

მშობლებისაგან ალიმენტის გადახდევინების დროს არაშრომისუნარიანი სრულწლოვანი შვილებისათვის, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ, აგრეთვე სარჩენი სახსრების გადახდევინების ყველა დანარჩენ შემთხვევაში ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავენ მტკიცე ფულადი თანხით, ამასთან ითვალისწინებენ იმ პირის მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობას, რომელსაც უნდა გადაახდევინონ ალიმენტი, და იმ პირისა, რომელიც ალიმენტს იღებს.

მუხლი 23. ალიმენტის გადახდის ან გადახდევინების წესი

ალიმენტს იხდის ნებაყოფლობითი წესით პირადად ის პირი, რომელიც მოვალეა გადაიხადოს ალიმენტი, ან სამუშაო ადგილის მიხედვით ადმინისტრაციის მეშვეობით.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ყოველთვიურად ხელფასიდან (პენსიიდან, დახმარებიდან, სტიპენდიიდან და სხვ.) ალიმენტს უკავებს ალიმენტის გადამხდელს მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე და გადაუხდის ან გადაუგზავნის განცხადებაში მოხსენიებულ პირს.

ალიმენტის გადახდის ნებაყოფლობითი წესი არ გამორიცხავს ალიმენტის გადამხდევინებლის უფლებას სასამართლოს სარჩელით მიმართოს ალიმენტის გადახდევინების შესახებ.

მუხლი 24. შვილად აყვანა

შვილად აყვანა შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვებისა და მათი ინტერესებისათვის.

შვილად აყვანა ხდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით იმ პირის თხოვნის თანახმად, რომელსაც ბავშვის შვილად აყვანა სურს.

შვილად აყვანისათვის საჭიროა მშობელთა თანხმობა, რომლებსაც ჩამორთმეული არა აქვთ მშობლის უფლებანი. აგრეთვე შვილობილის თანხმობა თუ მისი ასაკი ათ წელს აღწევს. ბავშვის თანხმობის გამოვლინების წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

თუ მშობლები არ მონაწილეობენ ბავშვის აღზრდაში, როგორც გამონაკლისი, შვილად აყვანა შეიძლება მოხდეს მშობლების თანხმობის მიუღებლად. მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ადგენს თუ როგორია შვილად აყვანის წესი და რა პირობებში შეიძლება მოხდეს ეს მშობლების თანხმობის მიუღებლად.

დაქორწინებული პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანის დროს, თუ ორივე მეუღლე შვილად არ იყვანს ბავშვს, საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა შვილად აყვანაზე. მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ადგენს პირობებს, რომელთა დროს გამონაკლისის სახით შეიძლა აყვანა შეიძლება მოხდეს მეორე მეუღლის თანხმობის მიუღებლად.

მხოლოდ სასამართლო წესით ხდება შვილად აყვანის ბათილობის ცნობა და შვილად აყვანის გაუქმება.

შვილად აყვანის წესებს, შვილად აყვანის ბათილობის ცნობის პირობებსა და შვილად აყვანის გაუქმების პირობებს, აგრეთვე გაუქმების შედეგებს აწესებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 25. მშვილებელთა, შვილობილთა და მათ ნათესავთა უფლება-მოვალეობანი

შვილობილები და მათი შთამომავლობა მშვილებელთა და მათ ნათესავთა მიმართ, ხოლო მშვილებელნი და მათი ნათესავები შვილობილთა და მათი შთამომავლობის მიმართ უთანასწორდებიან პირადი და ქონებრივი უფლებებით და მოვალეობებით შთამომავლობის ნათესავებს.

შვილობილები კარგავენ პირად და ქონებრივ უფლებებს და თავისუფლდებიან მოვალეობისაგან თავისი მშობლებისა და მათი ნათე-

(დასასრული მე-4 გვ.).

კომუნისტი
მე-8 გვერდი, კვირა,
14 აპრილი, 1968 წ.

საფუძვლები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობისა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ

(დასასრული)

სავების მიმართ. ერთი პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანის დროს ეს უფლებანი და მოვალეობანი შეიძლება დარჩეს დედის სურვილით, თუ მშვილებელი მამაკაცია, ან მამის სურვილით, თუ მშვილებელი ქალია. არასრულწლოვანები, რომლებსაც შვილად აყვანის მომენტისათვის აქვთ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების პენსია ან დახმარება, რაც მათ მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში ეკუთვნით, ამ უფლებას ინარჩუნებენ მათი შვილად აყვანის დროსაც.

მშვილებელთა თხოვნით ისინი შეიძლება ჩაწერონ დაბადების ჩაწერის წიგნებში როგორც შვილობილთა მშობლები.

მუხლი 26. მეურვეობა და მზრუნველობა

მეურვეობა და მზრუნველობა წესდება არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდისათვის, რომლებიც მშობლების სიკვდილის, მშობლებისათვის მშობლის უფლებების ჩამორთმევის, მშობელთა ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო დარჩნენ მშობლის მზრუნველობას მოკლებულნი, აგრეთვე ამ ბავშვების პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის.

მეურვეობა და მზრუნველობა წესდება აგრეთვე იმ სრულწლოვან პირთა პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებანი და შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი.

მეურვეობასა და მზრუნველობას აწესებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო ან სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მეურვეთა და მზრუნველთა უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის წესებს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

ნაწილი IV

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტები

მუხლი 27. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია

დაბადება, გარდაცვალება, დაქორწინება, განქორწინება, შვილად აყვანა, მამობის დადგენა, სახელის, მამის სახელისა და გვარის გამოცვლა რეგისტრაციაში უნდა გატარდეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოებში.

მუხლი 28. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერებზე შედავების წესი

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერებში შეცდომების შესწორებისა და ცვლილებების შეტანას, თუ ამის საკმაო საფუძველია, და ამ დავობენ დაინტერესებული პირები, აწარმოებენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები. თუ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები უარს იტყვიან ჩანაწერების შესწორებასა ან შეცვლაზე, ეს უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

თუ დაინტერესებული პირები დავობენ, ჩანაწერის შესწორება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ჩანაწერის გაუქმება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 29. საქმეთა წიგნები. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესები

ძირითად დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერების შესწორებისა და აღდგენის წესს, აგრეთვე მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წიგნების ფორმასა და იმ მოწმობათა ფორმებს, რომლებიც გაიცემა ამ წიგნებში ჩანაწერების საფუძველზე, საქმეთა წიგნების შენახვის წესსა და ვადებს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესებს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობა.

ნაწილი V

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის გამოყენება სსრ კავშირში მცხოვრებ უცხოელთა და მოქალაქეობის არამქონე პირთა მიმართ, ქორწინებისა და ოჯახის შესახებ უცხოეთის სახელმწიფოთა კანონების, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გამოყენება

მუხლი 30. ბავშვთა მოქალაქეობა

ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების დროს სსრ კავშირის მოქალაქე იყო, სსრ კავშირის მოქალაქეა, სადაც უნდა დაიბადოს.

მშობელთა სხვადასხვა მოქალაქეობის დროს, როცა ბავშვის დაბადების მომენტში ერთი სსრ კავშირის მოქალაქე იყო, ბავშვი ითვლება სსრ კავშირის მოქალაქედ იმ პირობით, თუ ერთი მშობელი მაინც ამ დროს სსრ კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობდა. მაგრამ თუ ამ დროს ორივე მშობელი სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა, ბავშვის მოქალაქეობა განისაზღვრება მათი შეთანხმებით.

მუხლი 31. საბჭოთა მოქალაქეების დაქორწინება უცხოელებთან და უცხოელთა დაქორწინება ერთმანეთთან სსრ კავშირში

საბჭოთა მოქალაქეების დაქორწინება უცხოელებთან, აგრეთვე უცხოელთა დაქორწინება ერთმანეთთან სსრ კავშირში ხდება საერთო საფუძვლებზე.

საბჭოთა მოქალაქეების დაქორწინება უცხოელებთან არ იწვევს მოქალაქეობის შეცვლას.

უცხოელთა შორის ქორწინებას, რომელიც ხდება სსრ კავშირში უცხოეთის სახელმწიფოთა საელჩოებსა თუ საკონსულოებში, სსრ კავშირში ძალამოსილად ცნობენ ერთიერთთანხმობის პირობით, თუ ეს პირნი ქორწინების მომენტში იმ სახელმწიფოს მოქალაქენი იყვნენ, რომელმაც ელჩი ან კონსული დანიშნა.

მუხლი 32. საბჭოთა მოქალაქეების დაქორწინება სსრ კავშირის საელჩოებსა და საკონსულოებში. სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ დაქორწინების ცნობა

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეები ქორწინდებიან სსრ კავშირის საელჩოებში ან საკონსულოებში.

საზღვარგარეთ სსრ კავშირის საელჩოებსა და საკონსულოებში დაქორწინებისა თუ მოქალაქეობრივი მდგომარეობის სხვა აქტების შესრულების დროს იყენებენ იმ მოკავშირე რესპუბლიკის კანონებს, რომლის მოქალაქენიც არიან დაინტერესებული პირნი. თუ დაინტერესებული პირნი არიან სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქენი ან დადგენილი არ არის, თუ რომელი რესპუბლიკის მოქალაქენი არიან ისინი, მაშინ იყენებენ ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის კანონებს მათი შეთანხმებით, ხოლო უთანხმოების შემთხვევაში აქტის რეგისტრატორი თანამდებობის პირის გადაწყვეტილებით.

იმ შემთხვევაში, როცა საბჭოთა მოქალაქეების დაქორწინება და უცხოელებთან საბჭოთა მოქალაქეების დაქორწინება ხდება სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ დაქორწინების ამ ფორმის დაცვით, რომელიც დაქორწინების ადგილის კანონითაა დადგენილი, ამ დაქორწინებას ძალამოსილად ცნობენ სსრ კავშირში, თუ ამ ცნობას ხელს არ უშლის ამ საფუძვლების მე-10 და მე-15 მუხლებიდან გამომდინარე დაბრკოლებანი.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ შესაბამის სახელმწიფოთა კანონების მიხედვით უცხოელთა დაქორწინებას ძალამოსილად ცნობენ სსრ კავშირში.

მუხლი 33. უცხოელებთან საბჭოთა მოქალაქეების ქორწინებისა და უცხოელთა ქორწინების შეწყვეტა სსრ კავშირში.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მომხდარი განქორწინების ცნობა

უცხოელებთან საბჭოთა მოქალაქეების ქორწინების, აგრეთვე უცხოელთა ქორწინების შეწყვეტა სსრ კავშირში ხდება საერთო საფუძვლებზე.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ შესაბამის სახელმწიფოთა კანონების მიხედვით საბჭოთა მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის ქორწინების შეწყვეტას ძალამოსილად ცნობენ სსრ კავშირში, თუ განქორწინების მომენტში ერთ-ერთი მეუღლე სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ შესაბამის სახელმწიფოთა კანონების მიხედვით საბჭოთა მოქალაქეების განქორწინებას ძალამოსილად ცნობენ სსრ კავშირში, თუ ორივე მეუღლე განქორწინების დროს სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ შესაბამის სახელმწიფოთა კანონების მიხედვით უცხოელთა განქორწინებას ძალამოსილად ცნობენ სსრ კავშირში.

მუხლი 34. სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ საბჭოთა მოქალაქეობის მქონე ბავშვთა შვილად აყვანა. სსრ კავშირში უცხოელთა მიერ ბავშვების შვილად აყვანის წესები.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეობის მქონე ბავშვის შვილად აყვანა ხდება სსრ კავშირის საელჩოში ან საკონსულოში. თუ მშვილებელს საბჭოთა მოქალაქეობა არა აქვს, შვილად აყვანისათვის საჭიროა მიღოს მოკავშირე რესპუბლიკის ამ საკითხში უფლებამოსილი ორგანოს ნებართვა.

ძალამოსილად ითვლება აგრეთვე საბჭოთა მოქალაქეობის მქონე ბავშვის შვილად აყვანა, როცა ეს ხდება იმ სახელმწიფოს ორგანოებში, რომლის ტერიტორიაზე ცხოვრობს ბავშვი, თუ წინასწარ მიიღებენ შვილად აყვანის ნებართვას მოკავშირე რესპუბლიკის ამ საკითხში უფლებამოსილი ორგანოსაგან.

სსრ კავშირის ტერიტორიაზე უცხოელთაგან საბჭოთა მოქალაქეობის მქონე ბავშვების შვილად აყვანის წესებს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 35. ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირის კანონმდებლობისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის გამოყენება მოქალაქეობის არამქონე პირთა მიმართ

სსრ კავშირში მცხოვრები მოქალაქეობის არამქონე პირნი ქორწინდებიან და წყვეტენ ქორწინებას, სარგებლობენ ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონმდებლობიდან გამომდინარე უფლებებით და ეკისრებათ ამ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობანი საბჭოთა მოქალაქეებთან საერთო საფუძველზე.

მუხლი 36. უცხოეთის კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულების და შეთანხმებების გამოყენება

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ უცხოეთის კანონების გამოყენება ან ამ კანონებზე დაფუძნებული მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ცნობა არ შეიძლება, თუ ასეთი გამოყენება ან ცნობა ეწინააღმდეგება საბჭოთა წყობილების საფუძვლებს.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით, რომელშიც სსრ კავშირი მონაწილეობს, დადგენილია წესები, რომლებიც განსხვავდება ქორწინებისა და ოჯახის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობისაგან, იყენებენ საერთაშორისო ხელშეკრულების ან საერთაშორისო შეთანხმების წესებს.

იგივე დებულებას იყენებენ მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე. თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით, რომელშიც მოცემული მოკავშირე რესპუბლიკა მონაწილეობს, დადგენილი წესები განსხვავდება ამ მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობისაგან ქორწინებისა და ოჯახის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიებში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიამ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიებთან და სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომისიებთან ერთად მოამზადა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი ქორწინებისა და ოჯახის შესახებ და შეიტანა იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

მიღებულია გადაწყვეტილება საფუძვლების პროექტი გამოქვეყნდეს გაზეთში „იზვესტია სოვეტოვ დეპუტატოვ ტრუდიაშჩიხსია“, „სსსრ“ და რესპუბლიკურ გაზეთებში ეროვნულ ენებზე საზოგადოებრივობის მიერ ფართოდ განხილვისათვის. მიზანშეწონილად ცნეს კანონპროექტის განხილვა დამთავრდეს თვენახევარში.

გამოქვეყნებული კანონპროექტის გამო შენიშვნებსა და წინადადებებს, რომლებსაც საზოგადოებრივი განხილვის შედეგად მიიღებენ, განიხილავენ კომისიებში, რის შემდეგაც გათვალისწინებულია საფუძვლების პროექტის შეტანა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

გთხოვთ საფუძვლების პროექტის გამო ყველა შენიშვნა და წინადადება გამოგზავნოთ შემდეგი მისამართით: მოსკოვი, კრემლი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნო.

საერთაშორისო ცხოვრება

სრული სოლიდარობა

ბერლინი, 13 აპრილი. (საკადესი). „გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციამ კვლავ აცხადებენ, რომ სავსებით უმჯობესია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოთხი პუნქტისაგან შემდგარ პროგრამასა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პოლიტიკურ პროგრამას და მიიჩნიათ ისინი იმის ნამდვილ საფუძვლად, რომ ვიეტნამის პრობლემა გადაიჭრას ვიეტნამის შესახებ ჟენევის 1954 წლის შეთანხმების ძირითადი პრინციპების შესაბამისად“, — ნათქვამია კომუნიკეში, რომელიც ეხება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეგობრობის ვიზიტს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის კურტ ჰაგერის მეთაურობით.

რეგორ „აღუმინებდნენ“ ვაშინგტონს

ვაშინგტონი, 13 აპრილი. (საკადესი). ვაშინგტონის „დაშოშმინებისათვის“ ჯარების მთელი მოქმედება, აგრეთვე პოლიციასთან ამ მოქმედების კოორდინაცია დიდი ხანია შემუშავებულია პენტაგონში, ბანაცხადა პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების არმიის შტაბის უფროსის მოადგილემ გენერალმა რალფ ჰეინსმა. უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას უკვე მზადა აქვს ოპერაციის გეგმა მთელ კვეყანაში ზანგთა გამოსვლების წინააღმდეგ, რომლის კოდური სახელწოდებაა „ჰარდენ კლოტის ოპერაცია“.

ამ გეგმის თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების გარკვეული ქვეგანაყოფები სავსებით არიან საბრძოლოდ გამზადებულნი, და ყოველ წუთს შეუძლიათ ისინი გადაიყვანონ სამხედრო ბაზებიდან რაიონში, სადაც რასობრივი მეღელვარებანი იქნება. ამ ქვეგანაყოფებს ასწავლიან ქალაქებში აჯანყებებთან ბრძოლის მეთოდებს.

მაგალითად, წინა კვირაში, როცა ამერიკის დედაქალაქის ქუჩებში მოხდა პოლიციელთა და ზანგი მოსახლეობის შეტაკებანი, ვაშინგტონში დაუყოვნებლივ გადმოიყვანეს 15.246 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ბერლინი. (საკადესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) მთავარი გამგეობის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა საბჭოსა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის გაერთიანებული სხდომა. სხდომა მიეძღვნა მუშათა და გლეხთა ნობელის პრემიის ლაურეატის მარტინ ლუთერ კინგის ხსოვნას.

ნიუ-იორკი, 13 აპრილი, (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ თანი გუშინ ევროპის მთელ რიგ კვეყნებში მოგზაურობიდან ნიუ-იორკში დაბრუნდა.

ნიუ-იორკი, 13 აპრილი. (საკადესი). ამერიკის ჟურნალისტთა წრეებში იქმნება რწმენა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონტაქტის მოწყობის საკითხში სახელმწიფო დეპარტამენტი გაჭიანურების ტაქტიკას მიმართავს საკიალურად, რაც დრო მოიგოს და სამხრეთ ვიეტნამში მოქმედ თავის ჯარებს შესაძლებლობა მისცეს გონს მოვიდნენ დამარცხებისაგან, გაეზავნოს მაშველი ძალები და დაიჭიროს ახალი შეიარაღებით საიგონის არმიის აღჭურვა.

მხოლოდ ფაქტები

ბერლინი. (საკადესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) მთავარი გამგეობის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა საბჭოსა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის გაერთიანებული სხდომა. სხდომა მიეძღვნა მუშათა და გლეხთა ნობელის პრემიის ლაურეატის მარტინ ლუთერ კინგის ხსოვნას.

ნიუ-იორკი, 13 აპრილი, (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ თანი გუშინ ევროპის მთელ რიგ კვეყნებში მოგზაურობიდან ნიუ-იორკში დაბრუნდა.

ნიუ-იორკი, 13 აპრილი. (საკადესი). ამერიკის ჟურნალისტთა წრეებში იქმნება რწმენა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონტაქტის მოწყობის საკითხში სახელმწიფო დეპარტამენტი გაჭიანურების ტაქტიკას მიმართავს საკიალურად, რაც დრო მოიგოს და სამხრეთ ვიეტნამში მოქმედ თავის ჯარებს შესაძლებლობა მისცეს გონს მოვიდნენ დამარცხებისაგან, გაეზავნოს მაშველი ძალები და დაიჭიროს ახალი შეიარაღებით საიგონის არმიის აღჭურვა.

ოჯრო და ვერცხლი გაინაწილეს

კალათბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო პირველობაზე ჯერ კიდევ რამდენიმე ტურით ადრე ცნობილი იყო ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი. ეს ტიტული შეინარჩუნა რიგის ტრამვაიტროლეიბუსის ტრესტის გუნდმა.

12 აპრილს გამოვლინდა კიდევ ერთი პრიზიორი. მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა“ დაამარცხა ნოვოსიბირსკის „დინამო“ 67:60 და ვერცხლის მედლები მოიპოვა. მეწამე საპრიზო ადგილისათვის იბრძვიან მოსკოვის „დინამოს“, ვილნიუსის „კიბირკშტისის“, სვერდლოვსკის „ურალმაშისა“ და ლენინგრადის „ბურევესტნიკის“ გუნდები.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა 12 აპრილს დამატებით დროში დაამარცხა ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ 52:47. მოსკოვის „დინამომ“ მოუგო ტაშკენტის „ტექსტილმაშს“ 83:57, სვერდლოვსკის „ურალმაშმა“ — ლენინგრადის სკა-ს 64:55, ტტტ-მ — ვილნიუსის „კიბირკშტისს“ 57:43.

კალათბურთი

დღეს ცენტრალური მატჩია

მალე გავიცნობთ ჩვენი ქვეყნის ახალ ჩემპიონს კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. თუ ვინ იქნება ოქროს მედლების მფლობელი, ეს ჯერ კიდევ გაურკვეველია. მართალია, დაკარგული ქულებით ლიდერს — თბილისის „დინამოს“ ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვს, მაგრამ ისიც ხომ საკითხავია, თუ როგორ ითამაშებენ ისინი გადამწყვეტ მატჩებს, **პირველ რიგში კი სსრ კავშირის ჩემპიონთან — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდთან მოსკოვში. ეს შეხვედრები გაიმართება დღეს და ხვალ.**

12 აპრილს შედგა მორიგი მატჩები. კიევის არმიის სასპორტო კლუბის გუნდმა მეორეჯერ დაამარცხა ტარტუს „კალევი“ 69:61 და შეგროვილი ქულებით დაეწია თბილისის დინამოელებს. ბაქოს „ბურევესტნიკისა“ და რიგის სკა-ს მატჩი დამთავრდა ბაქოელთა გამარჯვებით 92:87.

აი როგორ გამოიყურება ჩემპიონატის სატურნირო ცხრილი.

	თ.	მ.	წ.	ქ.
„დინამო“ (თბ.)	38	27	11	27
სკა (კ.)	41	27	14	27
ცსკა	40	25	15	25
„სპარტაკი“ (ლ.)	38	24	14	24
„სტროიტელი“ (კ.)	40	23	17	23
„კალევი“ (ტ.)	40	20	20	20
ვეფი (რ.)	38	19	19	19
სკა (რ.)	42	19	23	19
„ბურევესტ.“ (თბ.)	37	18	19	18
„ჟალგირისი“ (კაუ.)	36	18	18	18
„ურალმაში“ (სვ.)	40	8	32	8
„ბურევესტ.“ (ბ.)	40	8	32	8

ჭადრაკი

ე. გელერი ძნელი ამოცანის წინაშე

სოხუმი, 13 აპრილი, (ტელეფონით სპკ. კორ.). დღეს მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა სოხუმის მატჩში გათამაშდა მეექვსე პარტია. აკამდე ანგარიში იყო 3,5:1,5 ბ. სპასკის სასარგებლოდ.

თეთრებით თამაშობდა ბ. სპასკი. 32-ე სვლაზე წარმატება ბ. სპასკის ხვდა. ანგარიშია 4,5:1,5 ბ. სპასკის სასარგებლოდ.

ბ. ლარსენი ლიდერობას ინარჩუნებს

მონტე-კარლოს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გათამაშდა 9 ტური. კვლავ წინ არის დანიელი გროსმეისტერი **ბ. ლარსენი** — 7 ქულა. **მ. ბოტვინიკი** ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება. **რ. ბირნს** 6 ქულა აქვს.

წყალბურთი

დამეტებით შეხვედრაში..

ოდესა როდი იყვნენ ისეთები, რომლებიც წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი ტურისაგან სიურპრიზებს მოელოდნენ, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა. ლიდერებმა — მოსკოვის „დინამომ“ და სახედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სასპორტო კლუბის გუნდმა ბოლო შეხვედრებიც მოიგეს და ჩემპიონატი 29-29 ქულით დაამთავრეს. პირველმა მოუგო ლენინგრადის „ბალტიკას“ 6:3, მეორემ — თბილისის „დინამოს“ 4:1.

ამრიგად, ჩემპიონატმა ჩემპიონი ვერ გამოავლინა. საჭირო გახდა ამ გუნდების დამატებითი შეხვედრის გამართვა. მატჩი შედგა გუშინ. **ანგარიშით 6:8 გაიმარჯვეს დინამოელებმა და ჩემპიონობა მოიპოვეს.** ვერცხლის პრიზიორი გახდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სასპორტო კლუბის გუნდი. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის წყალბურთელებმა.

პოლიციური ხელქეტების „დემოკრატია“

დასავლეთი ბერლინი, 13 აპრილი. საკადესის კორესპონდენტები კ. სავინი და ბ. პახომოვი იუწყებიან:

გუშინ დასავლეთი ბერლინი უზარმაზარ ალუმუმორტყმულ ბანკს ჰგავდა. ცენტრალური მაგისტრალი — კურფიურსტენდამი და ქალაქის სხვა რაიონების ქუჩები გაეყარა ათობით სპოლიციო მანქანის სიგნალების ხმამ. პოლიციის მთელი ძალები — წყალსატყორცნ დანადგარებიანი ჯავშანმანქანები, ცხენოსანი და ქვეითი რაზმები გამოიყვანეს პროგრესული ძალების მანიფესტაციის ჩასახშობად. გუშინ დაახლოებით 10 ათასი დემონსტრანტი გამოვიდა წითელი დროშებით ქუჩებში, რათა დაეგმო რეაქციის თარეში. ტრანსპარანტებზე წარწერილი იყო: „უნდა შეიქმნას მოქმედების ერთიანი დემოკრატიული ფრონტი“, „უნდა გადადგნენ შიუცი და ნოიბაუერი“ (ქალაქის სენატის ხელმძღვანელები — საკადესის კორესპონდენტის შენიშვ.). დემონსტრაცია გაიმართა პარლამენტგარეშე ოპოზიციის მოწოდებით იმასთან დაკავშირებთან, რომ 11 აპრილს თავს დაესხნენ პროგრესული სტუდენტობის ერთ-ერთ ხელმძღვანელს რუდი დუჩკეს.

პოლიცია, რომელმაც გამოიყენა წყალსატყორცნები და რეზინის ხელკეტები, სასტიკად გაუსწორდა დემონსტრანტებს.

შემდეგ ათასობით პოლიციელი და დაახლოებით ათობით მანქანა წყალსატყორცნებით გადაეყვანეს შენებერგის რატუშასთან — ქალაქის სენატის რეზიდენციასთან, სადაც დემონსტრაციამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო. სტუდენტებს, ახალგაზრდა მუშებს, მოსწავლეებს, რომლებიც რატუშის წინ მოედანზე შეიკრიბნენ, კვლავ მიუშვეს ცივი წყლის ჭავლი, კვლავ დატრიალდა პოლიციელთა ხელკეტები. შეტაკება დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის ორ საათამდე გაგრძელდა.

საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე რიასის რადიოსადგურის შენობის წინ და სხვა რაიონებში. ქალაქის ხელისუფლებამ ვერ გატეხეს პროგრესული საზოგადოებრიობის წინააღმდეგობა. ამას მოწმობს ხელისუფალთა თვითნებობის წინააღმდეგ მასობრივი საპროტესტო მიტინგი, რომელიც დასავლეთ ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის შენობაში გაიმართა.

მმართველი ბურგომისტრი შიუცი კვლავ დაემუქრა დემონსტრანტებს და განაცხადა, რომ „შესაბამისი საშუალებებით ჩაახშობენ უკანონო მოქმედებას“.

სურათზე: ასე უსწორდებიან დემონსტრანტებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ტელევიზია

14 აპრილი

10.00 — ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.15 — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — მხატვრული ფილმი „ხალხში“, 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — „მხიარული ეკრანი“, 17.45 — სატელევიზიო ჟურნალი „ირმის ნახტომი“, 18.30 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — ბულგარული სატელევიზიო მხატვრული დოკუმენტური ფილმი „ვასკა“ (ქართულ ენაზე), 19.20 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით, 19.55 — კინონარკვევი, 20.20 — „მოამბე“ საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.35 — „მუსიკალური სუვენირები“ (საესტრადო პროგრამა), 21.20 — მხატვრული ფილმი „აფეთქებული ჯოჯოხეთი“.

15 აპრილი

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინონარკვევი, 11.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ახლა კი წავიდეს“ (I სერია), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 2. ქართული საბავშვო მუსიკის კვირეული მოსკოვში, 19.20 — კინონარკვევი, 19.50 — გადაცემა ციკლიდან „საბჭოთა კომპოზიტორები“ — ვანო მურადელი, 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 21.00 — მხატვრის კვირეულის გამო — „ჟან ეფელი“, 21.20 — კინონარკვევი, 21.30 — საინფორმაციო პროგრამა „დრო“ (გადმოცემა მოსკოვიდან)., 22.15 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ახლა კი წავიდეს“ (I სერია).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

14 აპრილი

ს. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სინათლე (დღისით), ტრუბადური (საღამოს, მე-2 აბონ. მე-3 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მზიანი ღამე (დღისით), უკანასკნელი მასკარადი (საღამოს), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ტოპაზი (დღისით), ჭინჭრაქა (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მომავალ შეხვედრამდე (დღისით), კომედიის ხელოვნება (საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ნინო (დღისით), ბაბაჯანას ქოშები (საღამოს), **რუსთავის სახელმწიფო დრამატული** — რომეო, ჯულიეტა და წყვდიადი (დღისით, აბონ. № 7, მე-3 წარმოდგენა), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნეკის შვარდენი (აბონ. № 45, დილის 10 ს., აბონ. № 12 დღის 1 ს.), ჩემი უფროსი და (აბონ. № 60 საღ. 6 ს.).

რედაქტორი

დ. მჟედლიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЗ 04032 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.